ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
რფჴფჟჲდ
* კფჳბ
!* ფგჳბკბლფყ




gfhfcrtdb7 @) fghbkb7 @)!@
193 (5783)
afcb5 #) stshb

# სააკაშვილის დედას საჯარო რეესტრის შენობა 1 ლარად მიჰყიდეს

გვ. 4

## რატომ დაიჭირეს ფაქოს ძმა



გვ. 2

## დედოფლისწყაროში ნაციონალების მაჟორიტარი ზაზა კედელაშვილი იქნება

გვ. 3

მმართველ გუნდში დიდი კასტინგი დაიწყო





## გახდება თუ არა უტა ივანიშვილი ქართული ოცნების“ ლიდერი

გვ. 4



## ბაქრაძეს ჩიკაგოს სამიტის იმედი აქვს

გვ. 3

რას ისწავლიან ყირგიზები ქართველი დეპუტატებისგან

## ბაღათურიამ სააკაშვილს დიპლომატებთან უჩივლა



გვ. 3

## ჟურნალისტი ვასიკო სილაგაძე დახმარებას ითხოვს

გვ. 2

## თემურ შაშიაშვილი: ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ არარაობაა

გვ. 5





გვ. 6

## ნატო და რუსეთი საქართველოზე ვერ თანხმდებიან

რისი იმედი აქვს თბილისს

## მაცივარი და ტელევიზორი ფუფუნებად აღარ ჩაითვლება

გვ. 6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 იციქ მოშე: ნებისმიერ ქართველს ან ებრაელს, ვურჩევთ, არ დაიწყონ ბიზნესი ჩვენი მხარდაჭერის გარეშე“

6 დემოკრატული მოძრაობა“ პოლიტპატიმართა საქმეების შესწავლას მოითხოვს

7 პუტინს ჰგონია, რომ ევრაზიული კავშირი 2015 წელს შეიქმნება

8 პატრიარქი ჩვილებს ორ ეტაპად მონათლავს

კეჳ]ბ ოზსტკბ .ღზსტკბ იფღზ

# რატომ დაიჭირეს ფაქოს ძმა

შალვა ჯოხაძე

**გუშინ თბილისში ცნობილი ტელესახის, ლევან გოგორელიანის (ფაქოს) ძმა ლაშა გოგორელიანი დააკავეს. მოგეხსენებათ, ფაქო მეგობრებთან ერთად ცოტა ხნის წინ „რუსთავი 2“-ის „კომედი შოუდან“ ბერა ივანიშვილის „ჯორჯიან დრიმ სტუდიოში“ გადავიდა სამუშაოდ. ლაშაც კომედი შოუში მუშაობდა და მისი ძმის „რუსთავი 2“-დან წასვლიდან მოკლე ხანში, თავადაც ბერა ივანიშვილის სტუდიაში გადავიდა.**

რომ 6 მანქანა მოვარდა და წაიყვანეს, – აღნიშნა ლევან გოგორელიანმა.

მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციაც გავრცელდა.

შსს-ში განაცხადეს, რომ ლაშა გოგორელიანს ნარკოლოგიურ ცენტრში შემოწმება უტარდებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ზურაბ გვენეტაძემ განაცხადა, რომ ვაჟა-ფშაველას მე-5 კვარტლიდან ლაშა გოგორელიანის გადაყვანა მისი თანმხლები პირის, ვახტანგ მელიქიძის სს კოდექსის 260-ე მუხლით დაკავებას უკავშირდება. პოლიციის ინფორმაციით, ვახტანგ მელიქიძეს ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა.

– ნარკოტიკული ნივთიერებით დააკავეს უშუალოდ ვახტანგ მელიქიძე. ასევე, დაკავებულები არიან მისი თანმხლები პირები, მათ შორის ლაშა გოგორელიანი, რომელსაც ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდა, – განაცხადა ზურაბ გვენეტაძემ.



ლაშა გოგორელიანის დაკავების შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად გოგორელიანების უახლოესმა მეგობარმა, მარიამ გრიგოლიამ (ინგა გრიგოლიას შვილმა) გაავრცელა.

მარიამ გრიგოლიას ინფორმაციით, ლაშა გოგორელიანი მისი ძმის, ლევანის მანქანას მართავდა, რა დროსაც მას პოლიციამ გზა გადაუჭრა და დაიჭირა.

– კიდევ ერთი უსამართლობა მოხდა – „რუსთავი 2“-დან წამოსვლიდან 2 კვირის შემდეგ დაიჭირეს კომედი შოუს ერთ-ერთი მსახიობის, ფაქოს ძმა. პროტესტი მახრჩობს! – ასე გამოეხმაურა მომხდარს ინგა გრიგოლიას ქალიშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ინგა გრიგოლიამაც:

– დიდი ახსნა-განმარტება ალბათ არაა საჭირო, რომ ეს იყო ხელისუფლების პასუხი ბიჭების იქიდან წამოსვლაზე. ფაქო არის ჩემი შვილის უახლოესი მეგობარი და თავი შემიძლია დავდო მისი და მისი ძმის წესიერებაზე. არ დაიწყოს ახლა ვინმემ მტკიცება სამართალდამცველთაგან, თითქოს კრიმინალია ან ნარკოტიკი უპოვეს, ან რაღაც ამგვარი. ჩემი შვილის პროტესტს ვუერთდები!

საინფორმაციო სააგენტოებთან საუბრისას ფაქომ განაცხადა, რომ მისი ძმა ვაჟა-ფშაველას გამზირის მეხუთე კვარტლის მიმდებარე ტერიტორიიდან სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

როგორც ლევან გოგორელიანმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ლაშა გოგორელიანი საცხოვრებელ სახლთან მანქანაში იმყოფებოდა, როდესაც 6 მანქანაში მყოფი, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მივიდნენ და მისი ძმა გაიტაცეს.

– ჩემმა ძმამ პოლიცია არც იცის, რა არის. მთელი ცხოვრება წესიერი ცხოვრებით ცხოვრობს. წარმოდგენა არ მაქვს, რა გახდა ლაშას დაკავების მიზეზი. მითხრეს,

გავრცელებული ინფორმაციით, ნარკოტიკი, რომელიც ვახტანგ მელიქიძეს აღმოაჩნდა, მარიხუანაა. აღსანიშნავია, რომ გოგორელიანის დაკავების მიზეზების ძიება მალევე ბიძინა ივანიშვილის იურისტთა ჯგუფის წევრებმა დაიწყეს. ლაშა გოგორელიანი ოფიციალურად ბერა ივანიშვილის სტუდიის თანამშრომელი გახლავთ და ეს არც არის გასაკვირი.

როგორც ჟურნალისტებს დაკავებული ლაშა გოგორელიანის ადვოკატმა ლადო მაჭარაშვილმა განუცხადა, ლაშა გოგორელიანმა და მასთან ერთად დაკავებულმა პირებმა ნარკოლოგიური შემოწმება გაიარეს და ადმინისტრაციული წესით დაისჯებიან. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა კი ფულად ჯარიმას ითვალისწინებს...

სამართალდამცავთა ინფორმაციის მიუხედავად, მომხდართან დაკავშირებით მაინც ბევრი ეჭვი ჩნდება. ალბათ, კარგად გახსოვთ ბერას მეგობრის, დიჯეი რემბოს დაკავების შემთხვევაც, მაშინაც ნარკოტიკების თემა ფიგურირებდა. მოკლედ, ივანიშვილთან დაკავშირებულ უფროსებს უეცრად იარაღი აღმოაჩნდებათ-ხოლმე, ახალგაზრდებს კი – მარიხუანა. შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახურმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „კომედი შოუს“ კიდევ ოთხი თანამშრომელი შეუერთდა ბერას სტუდიას.

– თემურ ჭარელაშვილი, დავით გოგიშვილი, ლაშა გოგორელიანი და გუჯა ტომარაძე „ჯორჯიან დრიმ სტუდიოში“ საკუთარ მეგობრებთან ერთად სხვადასხვა გასართობი პროექტების მომზადებაზე იმუშავებენ. ბერა ივანიშვილის სტუდიაში კომედი შოუს 7 წევრი იმუშავებს. შეგახსენებთ, რომ „რუსთავი 2“-ის გასართობი პროგრამის მსახიობებმა – თემო მჟავიამ, ამიკო ჩოხარაძემ და ლევან გოგორელიანმა (ფაქო) „კომედი შოუ“ 6 აპრილს დატოვეს და „ჯორჯიან დრიმ სტუდიოს“ შეუერთდნენ, – განაცხადეს პრესსამსახურში.

# იციკ მოშე: ნებისმიერ ქართველს ან ებრაელს, ვურჩევთ, არ დაიწყონ ბიზნესი ჩვენი მხარდაჭერის გარეშე“

შორენა გონგლაძე

**იციკ მოშე საქართველოში პირველი ორეროვანი სავაჭრო პალატის დამაარსებელი და პირველი უცხოელი, ოფიციალური წარმომადგენელია. კრიზისის შემდგომ პერიოდში, მან პირველმა დაიწყო მშენებლობა თბილისის ცენტრალურ ქუჩაზე. ამ ნაბიჯით, მან პირადი მაგალითი მისცა სხვა ბიზნესმენებს და ფაქტობრივად, პირველი ხმამაღალი განაცხადი გააკეთა, რომ საქართველოში ისრაელელი ინვესტორების მე-3 ტალღა დაიწყო.**



ბიზნესპალატის საქმიანობისა და საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ, საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატის პრეზიდენტი **იციკ მოშე** გვესაუბრება.

***– ბატონო იციკ, რა მიზნით დაარსდა საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა და რა არის თქვენი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები?***

– ორივე ქვეყნის – საქართველოსა და ისრაელის მთავრობების დიდი მხარდაჭერისა და მათთან ჩვენი მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, ბიზნესპალატა არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციაა და მინდა აღვნიშნო, რომ ასეთი ორეროვანი ბიზნეს ან სავაჭრო პალატა მსოფლიო ბიზნესდიპლომატიაში ახალ სიტყვას წარმოადგენს.

ჩვენი ძირითადი მიზანია, საქართველოსა და ისრაელს შორის, ურთიერთობის რეალური, ოპტიმალური და პრაქტიკული განვითარება.

***– რომელი ისრაელური ბიზნესკომპანიები მოღვაწეობენ ამჟამად საქართველოში და ძირითადად რა სფეროებს მოიცავს მათი საქმიანობა?***

– აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბოლო 15 წლის განმავლობაში, ისრაელელი ინვესტორების მხრიდან 10 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. ძირითადი მიმართულება უძრავი ქონება გახლდათ. საქართველოში ინვესტიციების პირველი ტალღა 90-იანი წლებიდან დაიწყო და შეიძლება ითქვას, ისრაელი ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი იყო. სამწუხაროდ, კორუფციისა და არასათანადო პარტნიორული ურთიერთობების გამო, ამ წამოწყებამ არ გაამართლა.

2002 წელს, ისრაელის ბიზნესმა საქართველოში საშინელი კრახი განიცადა და ინვესტორებმა ქვეყანა უდიდესი დანაკარგით დატოვეს. მეორე ტალღა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ბიზნესპალატისა და ახალი მთავრობის ერთობლივი ძალებით დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტმა და იერუსალიმში ჩვენ მიერ მოწყობილ ბიზნესფორუმზე გამოსვლამ, უდიდესი სტიმული მისცა ბიზნესმენებს, რის შედეგადაც, 300 მილიონი, ძირითადად კერძო ინვესტიცია განხორციელდა საქართველოში.

განხორციელებული ინვესტიციები მოიცავს შემდეგ სფეროებს: უძრავი ქონება, სადაზღვევო და ფინასური კომპანიები, სოფლის მეურნეობა, ტურიზმის ინდუსტრია და ა.შ.

სამწუხაროდ, მეორე ეტაპის „გაყინვა“ გამოიწვია არა საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა, არამედ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც დღემდე არ დასრულებულა. თუმცა, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ნელ-ნელა იწყება მესამე ეტაპი და აღმოსავლეთ ევროპაში ისრაელელი ინვესტორების დაბრუნების მხრივ, საქართველო შეიძლება პირველი ქვეყანა გახდეს.

თუ წინა ორ ეტაპზე, მთავარი იყო ინვესტიცია და მეორე პლანზე იყო თემატიკა, დღეს კრიზისის გამო დაზარალებული ინვესტორები, პროექტებსა და ბაზრის პოტენციალს მეტად ფრთხილად აანალიზებენ.

საქართველოს შემთხვევაში, ბიზნესის წარმატების ფორმულა, აუცილებელია შესრულებული და რეალიზებული პროექტების მაგალითზე განვიხილოთ. ამიტომ 2012 წელი წამყვანი პროექტების აღორძინების წლად უნდა გადავაქციოთ, რაც გახდება აუცილებელი პირობა, მესამე ეტაპის დასაწყებად და ასობით მილიონი ინვესტიციის განსახორციელებლად.

***– როგორ ეხმარება ბიზნესპალატა ებრაულ კომპანიებს საქართველოში და რა რეკომენდაციებს აძლევთ მათ, ვისაც სურს საქართველოში ბიზნესის დაწყება?***

– ამ კითხვას 2 ასპექტი აქვს: პირველ ასპექტში ვაძლევთ პირად მაგალითს. ჩვენ წარმოვადგენთ ისრაელის ინვესტორების 60 პროექტს, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ჟურნალისტი ვასიკო სილაგაძე დახმარებას ითხოვს

თეა მარხვაიძე

ვასიკო სილაგაძის ისტორია საქართველოში ყველამ იცის. ავარიას ის სასწაულად გადაურჩა. მის მკურნალობას დიდი დრო და ფული დასჭირდა. ვასიკო სრულად ვერ გამოჯანმრთელდა.

მას რეაბილიტაციის კურსის გავლა სჭირდება. რისი თანხაც არც მას და არც მის ოჯახს არ გააჩნია. შერყეული ჯანმრთელობის გამო ის მუშაობას ვერ ახერხებს. ერთ დროს ცნობილი ჟურნალისტი ახლა ღვთის იმედად არის დარჩენილი.

მას ძალიან ბევრი ნაცნობი ჰყავს. ისინი ახლა ხელისუფლების სათავეებში არიან. ვასიკომ მათ ბევრჯერ სთხოვა დახმარება, მაგრამ ამაოდ, მისი გასაჭირი გულთან ახლოს არავინ მიიტანა. არადა, ის თანხა, რაც სილაგაძეს სჭირდება, ამათთვის „სემიჩკის“ ფულიც არ არის.

ეტყობა ხანდახან „სემიჩკის“ ფულის გაღებაც ძალიან ძნელია. განსაკუთრებით მაშინ თუ ამით კარგ პიარს ვერ გაიკეთებ.

ჯანმრთელობის დაცვის ახალი მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი ადრე ჟურნალისტი იყო. მას ვასიკო კარგად იცნობდა. მისი გამინისტრება ძალიან გაეხარდა. აღდგომა დღეს ჭიაბერაშვილთან შეხვედრა მოახერხა. მინისტრი ყოფილ კოლეგას და კარგ ნაცნობს დახმარებას დაჰპირდა. უთხრა რაღაცებს გავარკვევო.

მას შემდეგ მინისტრისგან არაფერი ისმის. ვასიკო მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებს. იმედია, ეს შემთხვევითობის ბრალია და ჭიაბერაშვილი მოიცლის მისი პრობლემის მოსაგვარებლად. მით უმეტეს, რომ ეს დიდ თანხებთან არ არის დაკავშირებული. სოციალურად დაუცველ სილაგაძეს ამ თანხის გადახდა არ შეუძლია.

ხელისუფლება ხშირად იწონებს თავს, რომ საავადმყოფოებს ხსნის. თავს იწონებენ, რომ სოციალურად დაუცველ ადამიანებს უფასოდ მკურნალობენ. ვასიკოც სოციალურად დაუცველია და არაფრის საშუალება არა აქვს.

ასეთ დღეშია საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანია. ხელისუფლება ზოგს მართლაც ეხმარება, მაგრამ ზოგი ყურადღების მიღმა რჩებათ.

ყურადღების მიღმა დატოვეს ვასიკოც. არადა, მისი ისტორია ყველასთვის ცნობილია. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს. ვასიკოს დახმარება მართლა სჭირდება.

კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ საუბარი დიდ თანხებზე ნამდვილად არ არის. საარჩევნოდ ხელისუფლება ალბათ ძალიან დიდ ფულს დახარჯავს. კარგი იქნება, თუ ცოტას სილაგაძისთვისაც გაიმეტებენ. მით უმეტეს, რომ მას, როგორც სოციალურად დაუცველს, ასეთი დახმარება ეკუთვნის.

ქვეყნის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმედი ვიქონიოთ, რომ იქიდან ვასიკოსთვის და მის დღეში მყოფი ადამიანების დასახმარებლადაც გამოიძებნება თანხები.

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ბაქრაძეს ჩიკაგოს სამიტის იმედი აქვს

## რას ისწავლიან ყირგიზები ქართველი დეპუტატებისგან

**პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს გუშინ ძალიან მძიმე დღე ჰქონდა. მას ყირგიზი სტუმრები ჰყავდა, რომლებსაც საქართველოს მიღწევებს აცნობდა. ყირგიზების გარდა სპიკერს ნატოზე და ცხინვალზე მოუწია საუბარი.**

თეა მარხვაიძე

ნატოს ჩიკაგოს სამიტზე სპიკერი დიდ იმედებს ამყარებს. ცხინვალს კი ქოქოლას აყრის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე დარწმუნებულია, რომ საქართველოს პროგრესი ნატო-ს ჩიკაგოს სამიტის დოკუმენტებში ადეკვატურად აისახება.



როგორც დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა, საქართველოს მოლოდინით, ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე საქართველოს პროგრესთან დაკავშირებით დღემდე გაკეთებული განცხადებები კონკრეტულად დაფიქსირებული, ქაღალდზე კანონისა და დადგენილების ენაზე იქნება გადატანილი.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს პირველ რიგში ის განცხადებებია, რომლებიც არაერთხელ ყოფილა — საქართველო ნატო-სთან და ალიანსში გაწევრიანებასთან დღეს უფრო ახლოა, ვიდრე ეს იყო ბუქარესტში ან მანამდე.

— ამიტომ ჩვენ ველოდებით, რომ ეს სიახლოვე და პროგრესი ჩიკაგოს სამიტის დოკუმენტებში ადეკვატურად იქნება ასახული, თუმცა რა ფორმით და როგორ, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან ამაზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამ სამუშაოს ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი ბრიუსელში გამართული შეხვედრები და ნატო-ს მინისტერიალი იყო, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ნატოს სამიტის გარდა ბაქრაძეს ყირგიზების იმედიც აქვს. გუშინ მას მოუწია ყირგიზი დეპუტატების მასპინძლობამ. ბაქრაძის განცხადებით, ყირგიზები ქართული რეფორმით არიან დაინტერესებულნი.

— ყირგიზებს საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმების გამეორება სურთ. შეხვედრაზე მოსმენილით იმედი მიეცა, რომ ამ ქვეყანაში რეფორმებით დაინტერესებული პოლიტიკური კლასი არსებობს.

ამ პოლიტიკური კლასისთვის საქართველო წარმატებული რეფორმების მაგალითია, — განაცხადა ბაქრაძემ.

მას არ დაუკონკრეტებია კონკრეტულად რომელ რეფორმებზე „დაეცნენ" ყირგიზები. მხოლოდ იმედი გამოთქვა, რომ რეფორმები ყირგიზეთშიც წარმატებული იქნება.

გუშინ სტუმრები მარტო ბაქრაძეს არ ჰყოლია. ცხინვალშიც დიდი სტუმრიანობა იყო. სადაც ბაქრაძის რუსი კოლეგაც იყო ჩასული. ამ სტუმრიანობის მიზეზი ლეონიდ თიბილოვი იყო. რომელიც 11 დღის წინ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად აირჩიეს.

გუშინ მისი ინაუგურაცია გაიმართა. თიბილოვმა დაპირებებით თავი მოიქაჩლა. თავის მოსახლეობას პირობა მისცა, რომ სამხრეთ ოსეთს რუსეთთან ერთად ააშენებს.

ეს რუსებს ძალიან ეამათ. ჩვენებურები კი აღშფოთდნენ.

აღშფოთება ვერც დავით ბაქრაძემ დამალა. მან თიბილოვის ინაუგურაცია არაფრად ჩააგდო. სპიკერი დარწმუნებულია, რომ ცხინვალში ჩატარებულ არჩევნებს არავინ აღიარებს.

ბაქრაძის სანატოო განწყობა სერგეი ლავროვმა გაუფუჭა. ამ კაცმა, ბრიუსელში, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის ფარგლებში გამართა პრესკონფერენცია. სადაც განაცხადა, მოსკოვის გაოგნებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველო ნატო-ს წევრობის კანდიდატის სტატუსს ინარჩუნებს.

ჩვენი სპიკერი სერგეი ლავროვის ამ განცხადებას მის იმედგაცრუებას უკავშირებს.

როგორც დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ბოლო სამი წლის განმავლობაში რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს არა მხოლოდ გადაეხვია ევროატლანტიკური კურსისთვის, არამედ აღარ ეარსება როგორც თავისუფალ სახელმწიფოს. ამიტომ ბაქრაძისთვის სრულიად გასაგებია სერგეი ლავროვის ემოციები, რომელიც, მისი შეფასებით, იმდენად გაღიზიანებული და იმედგაცრუებულია, რომ საჯაროდაც კი ვერ შეძლო თავი შეეკავებინა და არ დაეფიქსირებინა იმედგაცრუება.

— სწორედ ეს არის იმის ნიშანი, რომ გავაგრძელოთ ქვეყნის განვითარება, ნატო-ში ინტეგრაცია და ის წარმატებული კურსი, რომელიც საქართველოს აქვს. ამის ერთ-ერთი დასტურია ის ფაქტიც, რომ რუსეთს ფაქტობრივად მარტოს უწევს დინების წინააღმდეგ ცურვა. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ერთ მხარეს არის რუსეთი — ქვეყანა, რომელიც აგრძელებს ოკუპაციას და ცნობს ორი ქართული რეგიონის დამოუკიდებლობას და მეორე მხარეს არის მთელი დემოკრატიული, ცივილიზებული სამყარო, რომელიც აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მოითხოვს საოკუპაციო ჯარის ჩვენი ქვეყნიდან გაყვანას, — განაცხადა ბაქრაძემ.

# დედოფლისწყაროში ნაციონალების მაჟორიტარი ზაზა კედელაშვილი იქნება

## მმართველ გუნდში დიდი კასტინგი დაიწყო

**აი ცოტაც და კარზე არჩევნები მოგვიკაკუნებს. არჩევნებისთვის სამზადისი თითქმის ყველა პარტიამ დაიწყო. ამ საქმეში პირველები, რა თქმა უნდა ნაციონალები არიან. მათი ლიდერი, რომელიც პარალელურად საქართველოს პრეზიდენტიც არის, დიდი ხანია უკვე საარჩევნო რეჟიმით ცხოვრობს.**

თეა მარხვაიძე



ზაზა კედელაშვილი

მმართველ გუნდში საკუთარი რეიტინგის შესახებ კარგად უწყიან. ისიც იციან, რომ მათი წევრების დიდი ნაწილი ხალხის გაღიზიანებას იწვევს. სხვა დროს ნაცმოძს ეს შეიძლება არაფრად ჩაეგდო, მაგრამ ახლა სხვა დროა. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ ბევრი რამ შეცვალა.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს ნაციონალებმა საარჩევნო სიაში ახალი და რაც მთავარია, პოპულარული სახეები შეიყვანონ. სიის სათავეში ნამდვილად პოპულარული ხალხი იქნება მერე კი არევაც შეიძლება. არაპოპულარულ სახეებს იმდენი რამ აქვთ ნაცმოძისთვის გაკეთებული, შეუძლებელია მათი ამაგი არ დააფასონ. თუ პარლამენტში ვერ გაიყვანეს, დაასაქმებენ სადმე, სარფიან ადგილზე. სადაც 300–ზე ნაკლები ხელფასი არ ექნებათ. ოგს შესაძლოა მაია ნადირაძესავით გაუმართლოს და 14-ათასიან ხელფასსაც გამოჰკრას ხელი.

პოპულარულ ხალხს ეძებენ სამაჟორიტაროდაც. მოქმედმა მაჟორიტარებმა ხალხის სიმპათიები დიდად ვერ დაიმსახურეს.

სათანადო ხალხის შესარჩევად უკვე კარგა ხანია შიდა კასტინგი აქვთ გამოცხადებული. აქ გადამწყვეტი სიტყვა, რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტს ეკუთვნის. სიაში თავისი ხალხის შეყვანა ვანო მერაბიშვილს და გიგა ბოკერიასაც შეეძლებათ. რამდენიმე ადგილს გენსეკ მიშა მაჭავარიანსაც მისცემენ. აბა, ტყუილად ხომ არ დანიშნავდნენ გენმდივნის თანამდებობაზე. არჩევნების დროს მაჭავარიანი ძალიან მაგარია. დაახლოებით ისეთი როგორიც ლეო მესი „ბარსაში". გავრცელებული ინფორმაციით ის აქტიურად ერევა დაკომპლექტების საქმეში.

ამ ფრონტზე მაჭავარიანმა გუშინ უკვე გაიელვა. ის დედოფლისწყაროში გამართულ თათბირს დაესწრო, სადაც გადაწყდა თუ ვინ იყრის კენჭს ამ რაიონიდან.

ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ითქვა, რომ აქცენტი ცნობილ მსახიობებზე, მომღერლებზე, წამყვანებზე და სპორტსმენებზე შეჩერდებოდა. დედოფლისწყაროში აქცენტი სამგზის ევროპის ჩემპიონზე ძიუდოში ზაზა კედელაშვილზე გააკეთეს.

კედელაშვილის ამბავი გუშინ კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გახადა საზოგადოებისთვის ცნობილი.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ექსკლუზიური ინფორმაციით, დედოფლისწყაროში კენჭს ევროპის სამგზის ჩემპიონი ძიუდოში ზაზა კედელაშვილი იყრის. პარლამენტის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ვიცე–სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი, კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და ადგილობრივი პოლიციის უფროსი გიორგი ბუნტური დახურულ კარს მიღმა, დღეს, დედოფლისწყაროს საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო ოთახში შეხვდნენ. შეხვედრას ზაზა კედელაშვილიც ესწრებოდა.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს კომენტარი არ გაუკეთებიათ. დაზუსტებული ინფორმაციით, ისინი სოფელ ზემო ქედში გაემგზავრნენ მოსახლეობასთან შესახვედრად. წარმოშობით ზემო ქედიდან არის ზაზა კედელაშვილი.

კედელაშვილი პოლიტიკაში, რომ მიდის, ეს ფაქტი მნიშვნელოვანი ნამდვილად არის. თუმცა დედოფლისწყაროში გუშინ კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა. რაზეც ოპოზიცია აუცილებლად ატეხს განგაშს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, დედოფლისწყაროში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო ოთახში ნაციონალური მოძრაობის ლიდერების მიერ გუშინ გამართულ დახურულ შეხვედრას, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილიც ესწრებოდა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს პარტია „თავისუფალი საქართველოს" დედოფლისწყაროს ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამილა გურაშვილმა განუცხადა, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, დახურულ შეხვედრაზე სახელისუფლებო პარტიის ლიდერებმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის შერჩევის საკითხებზე ისაუბრეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" იურისტის ირინე ურუშაძის თქმით, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს „კონტროლის პალატის შესახებ საქართველოს კანონის" მე-9 მუხლის თანახმად, პარტიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს.

— შეხვედრა თუ პარტიული იყო, ბეჟაშვილმა ცალსახად დაარღვია კანონი, — განუცხადა ურუშაძემ კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ამასთან დაკავშირებით ოპოზიცია თავს აუცილებლად საფუძვლიანად გაინერვიულებს. მათ ბეჟაშვილის ჯინი ისედაც სჭირთ.

ახლა კი ისევ მმართველ გუნდში მიმდინარე კასტინგს დავუბრუნდეთ. როგორც კულუარებში ამბობენ, საარჩევნო სიაში რამდენიმე ცნობად სახეს ველარ ვიხილავთ. გაუჩინარების კანდიდატი თავიდან მაჭავარიანიც იყო, მაგრამ მერე მმართველ გუნდს მისი თავი დასჭირდა.

ნაცმოძს სავარაუდოდ ნუგზარ წიკლაურის თავიც სჭირდება. ჯერ კიდევ ზამთარში ითქვა, რომ მის კანდიდატურას დუშეთის მაჟორიტარად წარადგენენ. ისე რაც მას ოპოზიცია ჰყავს შემკობილი, წესით, ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველ ნომრად უნდა ჩაეწერათ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით მმართველ გუნდში კიდევ რამდენიმე ჩემპიონს ვიხილავთ. ესენი გიორგი ასანიძეს არ შეელევიან. თუ იქამდე ბიძინას ბანაკში არ გადაბარგდა. ჯერჯერობით ასანიძეს იქ გადასასვლელი პირი არ უჩანს.

ვინ, საით, როგორ და რანაირად წავა, ამის შესახებ ძალიან მალე გავიგებთ. მმართველი გუნდი გვპირდება, რომ მათ რიგებში ბევრ საინტერესო სახეს ვიხილავთ. საინტერესო და ცნობილი სახეები ოპოზიციაშიც გაიელვებენ. ყველაზე ცნობილები კი ალბათ ხვდებით, რომ ბიძინა ივანიშვილთან იქნებიან.

# ბაღათურიამ სააკაშვილს დიპლომატებთან უჩივლა

**თებერვლის ბოლოს, პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა სკანდალით დასრულდა. იმ დღიდან თითქმის 2 თვე გავიდა, თუმცა ეს თემა კვლავაც აქტუალურია. იმ დღეს სააკაშვილი დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას ტალახში გაგორებას დაპირდა. მართალია პრეზიდენტი დეპუტატს ბალნეოლოგიური ტალახს სთავაზობდა, მაგრამ ერმა ეს მუქარად აღიქვა.**

თეა მარხვაიძე



ჯონდი ბაღათურია

იმ შეხვედრას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებიც ესწრებოდნენ. რომლებმაც ქართული არ იციან. შესაბამისად კარგად ვერ გაიგეს რა ტიპის საუბარი წარიმართა პრეზიდენტსა და ოპოზიციონერს შორის. ისიც ითქვა, რომ ეს საუბარი არც დიპლომატებისთვის უთარგმნიათ.

თავის გამოსვლაში დეპუტატმა ბაღათურიამ ქვეყნის პირველ პირს სერიოზული ბრალდებები წაუყენა. დიპლომატებისთვის თურმე არც ეს უთარგმნიათ.

ამ ამბავმა ბალნეოლოგიური პაციენტობის კანდიდატ ჯონდი ბაღათურიას ყურამდეც მიაღწია. თანამოაზრეებთან თათბირის შემდეგ გადაწყვიტა, სააკაშვილის დებატების ამსახველი ვიდეო–მასალა და მისი თარგმანი დიპლომატებისთვის გადაეგზავნა.

— ამ დებატების შემდეგ მე ვესაუბრე ერთ-ერთ უცხოელ დიპლომატს. გავარკვიე, რომ ჩემი და პრეზიდენტის დებატები, მათ შორის პრეზიდენტის მუქარის ნაწილი, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დიპლომატებისთვის, ნათარგმნი არ ყოფილა, — განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს ჯონდი ბაღათურიამ.

მისი განცხადებით, დიპლომატებისთვის გაგზავნილი მასალებით დასტურდება პრეზიდენტის არაკანონიერი შემოსავლები, კორუფციული გარიგებები და ა.შ.

— უახლოეს დღეებში ეს მასალები დიპლომატების მეშვეობით, მათი ქვეყნების ხელმძღვანელობას ექნება, — დასძინა ბაღათურიამ.

მას იმედი აქვს, რომ დიპლომატებს მის მიერ მიწოდებულ მასალებზე ადეკვატური რეაქცია ექნებათ.

ბაღათურიას იმის იმედიც ჰქონდა, რომ მისი მასალები ნაციონალებზეც მოახდენდა რეაქციას. პრეზიდენტის მამხილებელი დოკუმენტები მან პარლამენტშიც წარადგინა. ამასთან სპეციალური კომისიის შექმნაც მოითხოვა. რომელსაც სააკაშვილის კორუმპირებულობა უნდა დაემტკიცებინა.

დოკუმენტების წარდგენა ბაღათურიას ცარიელ დარბაზში მოუწია. მმართველი გუნდის წევრებმა სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს. მათ არც კომისიის შექმნას დაუჭირეს მხარი.

# სააკაშვილის დედას საჯარო რეესტრის შენობა 1 ლარად მიჰყიდეს

**სიმბოლურ ფასად — 1 ლარად შარშან აჭარაში ათობით ობიექტი გაიყიდა. საინტერესოა, ვის გადაეცა ერთ ლარად ხშირად მილიონებად ღირებული ქონება ბათუმში? 2011 წლის განმავლობაში აჭარის ა/რ მთავრობის მიერ სიმბოლურ ფასად გასხვისებული ქონებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ დაინტერესდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ორგანიზაციამ გაადგინა, რომ შარშან აჭარის მთავრობამ პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასად 52 ობიექტი გაასხვისა.**

შალვა ჯოხაძე



— საკითხის კვლევისას უცნობი უცხოური კომპანიებისათვის ქონების სიმბოლურ ფასად გასხვისების ტენდენცია გამოიკვეთა. უცხოეთში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საქართველოში ქონების შესაძენად ადგილზე რეგისტრაცია ესაჭიროება. შესაბამისად, ისინი რეგისტრირდებიან საქართველოში, მაგრამ — ხელშეკრულების დადებამდე რამდენიმე დღით ადრე. აქედან გამომდინარე, ძნელია შემოწმდეს, რამდენად სანდოა ეს კომპანიები. ასევე ძნელია მონიტორინგი გავუწიოთ ფინანსების წარმომავლობას, რადგან ჩვენ მოგვეპოვება ინფორმაცია მხოლოდ ამ იურიდიული პირებისა და არა თვითონ მფლობელების შესახებ, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

ორგანიზაციაში ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტზე ამახვილებენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ინფორმაციით, 2011 წლის 18 თებერვალს შპს „ადოგ ჯორჯიას“ ერთ ლარად გადაეცა 1621 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელიც გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. აღნიშნულ ტერიტორიაზე ინვესტორმა 40 თვის განმავლობაში 22-სართულიანი სასტუმრო კომპლექსი „კუბიკ თაუერი“ უნდა ააშენოს. სასტუმრო მინიმუმ 100 ნომრისაგან უნდა შედგებოდეს და ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ სულ მცირე 100 ადამიანი დაასაქმოს.

სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, შპს „ადოგ ჯორჯია“ 2010 წლის 16 სექტემბერს ბათუმში დარეგისტრირდა და მის დირექტორად მიხეილ ძოძუაშვილია მოხსენიებული. შპს-ს 100%-იან წილს აზერბაიჯანის მოქალაქე მუსა სულეიმანოვი ფლობს, რომლის შესახებაც ინფორმაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ არ მოეპოვება.

2011 წლის 24 თებერვალს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ პირდაპირი მიყიდვის წესით სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში 1,6 ჰა მიწის ნაკვეთი და 1133 კვ.მ. შენობა-ნაგებობა გაასხვისა. ამ ობიექტის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 365 000 ლარს შეადგენდა. ინვესტორი თურქული კომპანია შპს „ბაქარაა“, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში მილიონიანი ინვესტიცია უნდა განახორციელოს, დაასაქმოს საქართველოს არანაკლებ 60 მოქალაქე და ააშენოს პირუტყვის დაკვლის, დამუშავებისა და დაფასოების საწარმო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელთა თქმით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ბაქარა“ 2011 წლის 23 თებერვალს, ხელშეკრულების დადებამდე ერთი დღით ადრეა დარეგისტრირებული.

ნიშანდობლივია, რომ ინვესტორმა რამდენჯერმე დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, მაგრამ აჭარის ა/რ მთავრობამ, ხელშეკრულების შეწყვეტის ნაცვლად, ვადები გაუგრძელა. ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის მიხედვით, 20 თებერვლისთვის ობიექტი ექსპლუატაციაში უნდა იყოს შესული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენლებმა 11 აპრილს მოინახულეს ის ადგილი, სადაც საწარმო უკვე ამუშავებული უნდა იყოს, თუმცა ტერიტორიაზე ჯერ კიდევ დაუსრულებელი შენობა დგას. მათ გადაიღეს ფოტოც, რომელზეც კარგად ჩანს, რომ საწარმო ჯერ არ ფუნქციონირებს.

2011 წლის 5 დეკემბერს, აჭარის მთავრობამ ჯავახიშვილის 5-ში (საჯარო რეესტრის ყოფილი შენობა) მდებარე 1556 კვ.მ. ტერიტორია პრეზიდენტის დედის გიული ალასანიას მფლობელობაში არსებულ „საქართველოს უნივერსიტეტის საშუალო სკოლას“ სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად მიჰყიდა. ხელშეკრულების თანახმად, მყიდველმა 500 000 ლარის ინვესტიცია უნდა ჩადოს და 12 თვეში დაამთავროს სკოლის მშენებლობა.

— ჩვენ ხელთ არსებული მასალების საფუძველზე, ირკვევა, რომ ხელშეკრულების თავდაპირველ ვერსიაში შევიდა ცვლილებები, კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 150-დან 60-მდე, ასევე შემცირდა დასასაქმებელ მოქალაქეთა რიცხვი 95-დან 30-მდე. გარდა ამისა, სიმბოლურ ფასად გადაეცათ საჯარო რეესტრის სარგებლობაში რიცხული ყოფილი ინვენტარი. (ოდენობა: 278 ერთეული, ღირებულება: 27 672 ლარი), — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

ერთ ლარად გასხვისებული ქონების სიას აგრძელებს თურქული კომპანია „მერსინ ტურიზმისათვის“ 2011 წლის 17 ნოემბერს მიყიდული შენობა-ნაგებობა გოგებაშვილის ქუჩაზე (სანაოსნოს ყოფილი შენობა). თავად შენობა 4706 კვ.მ.-ა და მასზე მიმაგრებულია 5196კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზაციო ღირებულება 4 029 848 ლარს შეადგენდა.

ინვესტორმა გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარე შენობა-ნაგებობის ფასადის რეაბილიტაცია და შავშეთის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟი უნდა განახორციელოს. 2012 წლის 1 დეკემბრამდე რეაბილიტირებულ შენობაში აამოქმედოს სასტუმრო კომპლექსი, ხოლო თავისუფალ მიწის ნაკვეთზე დაიწყოს 100-ნომრიანი სასტუმროს მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეიყვანოს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ივნისისა.

— აღსანიშნავია, რომ შპს „მერსინ ტურიზმი“ 2011 წლის 14 ნოემბერს დაფუძნდა, ხოლო 3 დღეში, 17 ნოემბერს, აჭარის მთავრობამ მასთან ხელშეკრულება გააფორმა. ინვესტორების შესახებ მხოლოდ ის ინფორმაცია მოგვეპოვება, რომ კომპანიის დამაარსებლები თურქეთის მოქალაქეები არიან, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“. 2011 წლის 18 ივლისს შპს „ლეგის“ 1 ლარად გადაეცა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში 32 382 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება 202 711 ლარს შეადგენდა. შპს „ლეგის“ 2012 წლამდე უნდა განეხორციელებინა მილიონიანი ინვესტიცია და აეშენებინა ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, სადაც დაასაქმებდა საქართველოს 40 მოქალაქეს.

— აღნიშნული კომპანია უკრაინის მოქალაქის ლეონიდ ეზიკის საკუთრებაა. ამ პიროვნების შესახებ, ჯერჯერობით, არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ქარხნის ნაწილი ექსპლუატაციაშია შესული, მშენებლობა გრძელდება, — აღნიშნავენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

2011 წლის 17 ივნისს ასევე ერთ ლარად გასხვისდა ბათუმში შ. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ახალი ბულვარი, სასტუმრო „მარინას“ და აკვაპარკს შორის) 9900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ინვესტორი აზერბაიჯანის მოქალაქე ზარიფა ჰამზაევაა. მან თავისი წარმომადგენლის ელნურ მამედოვის საშუალებით განახორციელა შესყიდვა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ დაინტერესდა ამ ქალბატონის ვინაობით და აზერბაიჯანული მედიაწყაროების საშუალებით გაარკვია, რომ ზარიფა ჰამზაევა აზერბაიჯანელი მილიარდერის, ავიაკომპანია „აზერბაიჯან ჰავა იოლარი აზალის“ პრეზიდენტის ჯახანგირ ასკეროვის მეუღლეა. ასევე, მოპოვებული ინფორმაციით, დგინდება, რომ ზარიფა ჰამზაევა, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ქალიშვილ არზუ ალიევასთან ერთად „სილქვეი ჰოლდინგში“ შემავალი „სილქვეიბანკის“ დამფუძნებელია. „სილქვეი ჰოლდინგი“ 23 კომპანიას აერთიანებს და საავიაციო ბიზნესში წამყვანი ჰოლდინგია. მილიარდერის მეუღლე, ასევე ფლობს პარფიუმერულ მაღაზიათა უმსხვილეს ქსელ „გაზელს“.

ხელშეკრულების თანახმად, ჰამზაევა ვალდებულია, ამ ტერიტორიაზე 20 თვის განმავლობაში ააშენოს და ექსპლუატაციაში შეიყვანოს არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, რომელშიც დასაქმებულთა არანაკლებ 90% საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ამ შემთხვევაშიც ადგილზე გადაიღო ფოტო, რომელზეც ჩანს, რომ არანაირი მშენებლობა დაწყებული არ არის.

2011 წლის განმავლობაში აჭარის მთავრობამ კიდევ ერთი ობიექტი გაასხვისა ერთ ლარად — ბათუმში, რუსთაველის № 4-6 მდებარე 301 კვ.მ. ფართობის ტერიტორია, სადაც შპს „ვენტოს“ 4 თვის ვადაში უნდა აემოქმედებინა 35/0,4 კილოვოლტი ძაბვის ელექტროქვესადგური. ეს ობიექტი უკვე აშენებულია.

აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით დგინდება, რომ გასული წლის განმავლობაში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2011 წლის 10 მაისის №76 და №77 ბრძანებების საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყალში 45 მიწის ნაკვეთი გაიყიდა სიმბოლურ ფასად. ნაკვეთები 100-200 კვ.მ-იანია.

— ჩვენს ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გადაცემის მიზანი უცნობია და არ არის ასახული ხელშეკრულებებში. რაც, რასაკვირველია, დამატებით კითხვებს წარმოშობს.

საქართველოს კანომდებლობით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს აქვს უფლება, განკარგოს სახელწიფო ქონება. თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ხშირად საუბრობს სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის დახვეწაზე. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მონიტორინგი უფრო ზედმიწევნით უნდა განხორციელდეს იმ ინვესტორების მიმართ, რომლებმაც სახელმწიფოსგან ქონება შეღავათიანი პირობებით შეიძინეს. წინააღმდეგ შემთხვევში აღნიშნული ფაქტები კორუფციულ შეთანხმებებად აღიქმება, — აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოში“.

ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ისინი მომავალშიც გააგრძელებენ აღნიშნული საკითხის კვლევას და მონიტორინგს გაუწევენ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

# გახდება თუ არა უტა ივანიშვილი ქართული ოცნების“ ლიდერი

შალვა ჯოხაძე



გუშინ გაირკვა, რომ ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ სადამფუძნებლო ყრილობა 21 აპრილს, 15 საათზე საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში გაიმართება. „ქართულ ოცნებაში“ ჯერჯერობით, არ აკონკრეტებენ, თუ რა სიახლეს უნდა ელოდოს საზოგადოება ამ დღეს, თუმცა აცხადებენ, რომ ბევრი სიურპრიზი იქნება.

„ქართული ოცნების“ პრესსპიკერი, მაია ფანჯიკიძე ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ მართალია, ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ დაუბრუნეს, თუმცა ეს მის გეგმებს არ ცვლიდა.

**მაია ფანჯიკიძე:**

— 21 აპრილს იქნება პარტიის დაფუძნება. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ის ამ პარტიას დააფუძნებს როგორც საქართველოს მოქალაქე და ამაში იგულისხმა ის, რომ საქართველოს მოქალაქეობა ბევრად მეტია საქართველოს პასპორტის ქონაზე. ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის იყო საქართველოს მოქალაქე, არის ახლაც და იქნება მომავალშიც. ეს ქაღალდზე მხოლოდ პრეზიდენტის გადასაწყვეტი შეიძლება არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოს პასპორტი და საქართველოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს ქართველმა ხალხმა მიანიჭა. ბიძინა ივანიშვილისთვის ყველაზე დიდი ფასეულობა არის საქართველოს მოქალაქეობა. ოღონდ არა ფორმალურად გაფორმებული, რამედ ის, რაც ამაში იგულისხმება — იყო ამ ქვეყნის შვილი, მასზე ზრუნავდე, იბრძოდე მისი უკეთესი მომავლისათვის, რომელსაც ვერანაირი სასამართლოს გადაწყვეტილება მას ვერ აუკრძალავს.

ბიძინა ივანიშვილს აქვს კონკრეტული გეგმები, რომელიც არის გაწერილი ოქტომბრის არჩევნებამდე. ამ გეგმებში არაფერი იცვლება. პარტიის ყრილობას ბიძინა ივანიშვილი ჩაატარებს, მისი უშუალო თავმჯდომარეობით ჩატარდება, ყველა ის კანონი და რეგულაცვია იქნება გათვალისწინებული, რაც არეგულირებს პარტიის დაფუძნებას საქართველოში.

რაც შეეხება თავად ბიძინა ივანიშვილს, ვინც მის გამოსვლებს თვალ-ყურს ადევნებს, უცხო არ უნდა იყოს იმის გათვლა, თუ რა საკითხებზე გააკეთებს აქცენტს მომავალი პარტიის ლიდერი. როგორც ყოველთვის, მისი კრიტიკის მთავარი ობიექტი, ალბათ კვლავ მიხეილ სააკაშვილი იქნება. მშობლიურ საჩხერეში მოსახლეობასთან შეხვედრისას ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ შეეხო იმ საკითხებს, რომელიც მისთვის განსაკუთრებით პრიორიტეტულია. მან სააკაშვილს რამდენჯერმე მშიშარა უწოდა.

— ჩემი პოლიტიკაში მოსვლიდან, დაახლოებით ერთ კვირაში, სააკაშვილმა აბსოლუტურად უკანონოდ ჩამომართვა მოქალაქეობა. მან ეს ჩაიდინა დიდი შიშის გამო. ის მშიშარა კაცია, მას შეეშინდა რეალური კონკურენციის. სააკაშვილი ძალიან კარგად აცნობიერებს, რომ არანაირი შანსი არა აქვს ჩემთან პაექრობისას და სწორედ ამიტომ დაიწყო ძალის გამოყენება...

სააკაშვილი მშიშარა კაცია, მშიშარა კაცმა კი იცის მხოლოდ ძალის გამოყენება. ის ძალადობს საკუთარ ხალხზე, — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის თქმით, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, სააკაშვილს ნელ-ნელა უკან დახევა მოუხდა.

— მოხერხდა ის, რომ მაქსიმალურად კარგად ვაჩვენეთ ამერიკელებს და ევროპელებს სააკაშვილის რეალური სახე, მისი ცრუ იდეოლოგიაზე აგებული დემოკრატია. მან დაკარგა რეალური მხარდაჭერა, რადგან ვაჩვენეთ მისი ძალადობრივი სახე.

ჩვენი კოალიციის დიდი ძალისხმევის შედეგად, საერთაშორისო ზეწოლით, სამოქალაო საზოგადოების მხარდაჭერით მივაღწიეთ და პირველად საქართველოს ისტორიაში, დავაწერინეთ და ვათქმევინეთ სააკაშვილს, რომ არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე ჩამოვლენ საერთაშორისო დამკვირვებლები. ეს ჩვენ მოგვცემს რეალურ საშუალებას, დავაბალანსოთ სააკაშვილის მიერ განხორციელებული ძალადობა.

ეს ყველაფერი კომპლექსურად მოგვცემს იმის საშუალებას, რომ მაისი, ივნისის შუა რიცხვებში და ივნისის ბოლოს სიტუაცია იყოს გარდატეხილი. გპირდებით, თქვენ მოგეცემათ საშუალება, საღად და თავისუფლად გამოთქვათ თქვენი აზრი და ისინი ველარ მოახერხებენ სადამსჯელო ღონისძიებების გაატარებას. ჩვენ მოვახერხებთ, რომ ქართველმა ხალხმა თავი მაღლა ასწიოს. ჩვენ მოვახერხებთ, რომ პოლიციამ სწორი პოზიცია დაიჭიროს, ჩადგეს ხალხის სამსახურში და თავი დაანებოს საკუთარი ხალხის დათრგუნვას. ეს პროცესები დაიწყება ნელ-ნელა. გპირდებით, რომ მოვახერხებთ რეალურად წამოვწიოთ ქართული სულისკვეთება, რომ ხალხი გავათავისუფლოთ იმ შიშისგან, რომელსაც მოძალადე სააკაშვილი ნერგავს. ქართველ ხალხს მიეცემა თავისუფალი ნების გამოხატვის საშუალება და ოქტომბერში აუცილებლად გავიმარჯვებთ, გავისტუმრებთ მშიშარა სააკაშვილს, — აღნიშნა ივანიშვილმა.

საჩხერის მოსახლეობასთან შეხვედრისას მან მისი პარტიის საპროგრამო მიმართულებებიც გაამჟღავნა, რომელშიც დიდი ადგილი ეთმობა დასაქმების საკითხს, სასამართლოსა და მედიის თავისუფლებას და აშ.

— ქართული ოცნება — ეს არის გაერთიანებული, გამთლიანებული, დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული, გაძლიერებული, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული საქართველო. აი ასეთია რეალური ქართული ოცნება. ასეთი რეალური ქართული ოცნება უნდა ავიხდინოთ ჩვენ! — განაცხადა ივანიშვილმა.

სხვათა შორის, საჩხერეში ბიძინა ივანიშვილთან ერთად გამოჩნდა მისი უფროსი ვაჟი უტაც. სწორედ ამიტომ, კულუარებში ალაპარაკდნენ, რომ მამის პარტიის ერთ-ერთი სახე უტა ივანიშვილიც იქნება. თავდაპირველად, ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მის მიერ დაფუძნებული პარტიის სათავეში მისი მეუღლე, ეკატერინა ხვედელიძე ჩადგებოდა, თუმცა მოგვიანებით, განაცხადა, რომ მოსახლეობას მის გვარზე — ივანიშვილზე აქვს სწორება. ამიტომაც, არაა გამორიცხული, ბიძინა ივანიშვილის პარტიის ოფიციალურ თავმჯდომარედ სწორედ უტა ივანიშვილი ვიხილოთ. ამ თემაზე „ქართულ ოცნებაში“ ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერს ამბობენ.

# იციკ მოშე: ნებისმიერ ქართველს ან ებრაელს, ვურჩევთ, არ დაიწყონ ბიზნესი ჩვენი მხარდაჭერის გარეშე“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პროექტში ვართ აქტიურად ჩართული. მიმდინარე წელს განვაახლეთ მშენებლობა ქალაქში ერთ-ერთი წამყვანი პროექტის, საერთაშორისო კომპანიის ღიხოს-ის მართვით და ამ ზაფხულში დავიწყებთ მეორე პროექტს, სახელად Aრტ ჰოტელ. იმედი გვაქვს, ამ პროექტების წარმატებით შევქმნით იმ მაგალითს, რაც აუცილებელია მესამე ეტაპის წარმატებით დასრულებისათვის.

რაც შეეხება მეორე ასპექტს, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობის ყველა ეტაპზე მუდმივი მუშაობა მიმდინარეობს, ვინაიდან საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა ამ საქმიან ურთიერთობაში ხედავს ხიდის შენებას ორი ერის და ორი ქვეყნის ურთიერთობებში, რაც არა მარტო ისტორიული წარსულიდან გამომდინარე, არამედ გეოპოლიტიკური ასპექტითაც აუცილებელია.

თუ არ აღვნიშნავთ ბიზნესფორუმებს, რომელსაც ყოველ წელს ვაწყობთ, ჩვენი ყველაზე დიდი დამსახურებაა, გავაცნოთ მხარეებს ერთმანეთის ბიზნესკულტურა. ვერ წარმომიდგენია, რომ ამის გარეშე ბიზნესი წამატებული იყოს, არა მარტო საქართველოსა და ისრაელს შორის, არამედ სხვადასხვა კულტურის, წარმოშობის ადამიანს შორის.

ნებისმიერ ქართველს ან ებრაელს, ვურჩევთ, არ დაიწყონ ბიზნესი ჩვენი მხარდაჭერის და კონსულტაციების გარეშე. ნებისმიერ საქმეს ახასიათებს სირთულეები. ამიტომაც, მე მინდა შევეხო მხოლოდ მომავალს. მესამე ეტაპი კარზეა მომდგარი და საჭიროა ჩატარდეს კოორდინირებული მუშაობა, სადაც საელჩოებიც ორმხრივად უნდა ჩაერთვნენ.

***— ბატონო იციკ, როგორც ბიზნესპალატის ხელმძღვანელი, როგორ ფიქრობთ, რამდენად სტაბილური ბიზნესგარემოა საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად?***

— ამ საკითხში ძალიან გვეხმარება ეინშტეინი — ყველაფერი შეფარდებითია. ამიტომაც შემიძლია ვთქვა, რომ საქართველო არის ერთ-ერთი, შედარებით წამყვანი ქვეყანა, სადაც ბიზნესის კეთება აქტუალური, ეფექტურია და მომგებიანია.

***— მოგეხსენებათ, პოლიტიკური ვითარება ბიზნესგარემოზე გავლენას ახდენს. ებრაელი ბიზნესმენების დაკავება პოლიტიკურ ურთიერთობაზე უარყოფითად აისახა, რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა ინციდენტმა ბიზნესურთიერთობებზე და რა ვითარებაა ამჟამად, ნდობის თვალსაზრისით?***

— ამ ყველაფერმა, საბედნიეროდ, ჩაიარა. მეგობრულ ურთიერთობებს ახასიათებს „სინუსოიდური ტალღა“. საქართველოსა და ისრაელს შორის ურთიერთობა და მათ შორის, ბიზნესსაზოგადოების ურთიერთობა ბევრად უფრო კარგია, ვიდრე სხვა ქვეყნებს შორის. ამოუწურავი პოტენციალის გამო კი, უფრო მეტის გაკეთება შეიძლება. მე ვფიქრობ, ამ ურთიერთობებში 10%-იც კი არ არის რეალიზებული, მაგრამ ეს ადვილად გამოსასწორებელია და საჭიროებს მეორე ქვეყნის ინტერესებისა და შესაძლებლობების უკეთ შესწავლას. საჭიროა, სწორად შეაფასო შენი ქვეყნის პოტენციალი — მეორე ქვეყანაში. ეს ალბათ ორივე მხარეს ეხება.

***—ხელისუფლებასთან რა ურთიერთობა გაქვთ, თუ გაქვთ მათი მხრიდან მხარდაჭერა?***

— პირველ რიგში, ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ უცხოეთის მოქალაქის მიერ მთავრობის კრიტიკა საქართველოს ან ქართველი ხალხის კრიტიკის ტოლფასია. ჩვენი პალატის ურთიერთობა მთავრობასთან ძალიან კარგია და მხარდაჭერაც ძალზე დიდია. ამავე ლოგიკით, მე ვხედავ მხარდაჭერას ებრაელი ხალხის მიმართ. არ მინდა გამოვიყენო სიტყვა „დახმარება“, ყველანი ვაკეთებთ ერთ დიდ საქმეს, სადაც მხოლოდ დღევანდელი დღისა და ვიწრო ინტერესების მქონე ადამიანებს ადგილი არ აქვთ.

აღვნიშნავ, რომ 2007 წელს, ისრაელიდან მოზიდული ინვესტიციების პიკი, სწორედ ერთობლივი თანამშრომლობის შედეგი გახლდათ. მინდა მეორე მაგალითიც მოვიყვანო და ტურიზმი. ტურისტების რაოდენობის ზრდა არის ერთი მხრივ, ხანგრძლივი ერთობლივი თანამშრომლობისა და მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობის სწორი სტრატეგიის შედეგი. იყო პერიოდი, როცა ერთდროულად ორ ქვეყანას წარმოვადგენდი ტურიზმის განვითარების სფეროში და ამ დარგში ყველა ნიუანსი ვიცი.

როგორც წარმომადგენელი ისრაელიდან, 90-იან წლებში, ებრაელების ისრაელში დაბრუნების საკითხში კარგად ვერკვევი და შემიძლია გავაკეთო სრული ანალიზი. არსებობს მცდარი შეხედულება, თითქოს ტურისტების რაოდენობის ზრდა, ძირითადად ისრაელში წასული ქართველი ებრაელების ხარჯზეა განპირობებული. 90-იან წლებში, აზერბაიჯანიდან და ყაზახეთიდანაც იმავე რაოდენობის ებრაელი დავაბრუნეთ ისრაელში, რაც საქართველოდან. ეს ქვეყნებიც საკმაოდ მეგობრულად არიან განწყობილები ებრაელი ხალხისადმი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყაზახეთიდან — ისრაელში დაფრინავს 1 რეისი თვეში, ბაქოდან 4 და თბილისიდან 30 რეისი, რომელიც, სავარაუდოდ, 2014 წლისთვის, 50-მდე გაიზრდება. ამ მონაცემებით თითქმის ყველა კითხვას გლობალური პასუხი გაეცა.

— საქართველოში დაიწყეთ ისრაელის პირველი წარმომადგენლობის შექმნა, რა იყო ამის მიზეზი?

— ნება მომეცით, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მივყვე მოვლენებს. მე ვიყავი ისრაელის (მსოფლიო ებრაული სააგენტოს) პირველი ოფიციალური წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში. ეს წარმომადგენლობა დაიწყო საქართველოდან, ქართველი ხალხის განწყობის გამო და არა სხვა მიზეზით. მე იმ პერიოდში არც რუსული ვიცოდი და ნორმალურად არც ქართული.

მას შემდეგ, რაც ურთულეს პერიოდში, გავხსენი 6 წარმომადგენლობა სხვადასხვა რესპუბლიკაში, რესპუბლიკების მთავრობებთან შეთანხმებით, მოსკოვიდან ვმართავდი ებრაელების დაბრუნების პროცესს. წარმატებული მოღვაწეობის პერიოდში გადავწყიტე, რომ ჩემი მისია დასრულდა. სწორედ ამ დროს გავაკეთე განცხადება თანამდებობის დატოვების შესახებ. უნდა ვიცოდეთ, რომ 20 წლის წინ ისრაელის და მსოფლიო ებრაელობის ძირითადი მისია იყო 1 მილიონი ებრაელის დაბრუნება სამშობლოში და ისრაელისა და ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობების გამყარება.

ამ პერიოდიდან იწყება საქართველოსთან თანამშრომლობა ორეროვანი სავაჭრო პალატის სახით. მართალი გითხრათ, ჩემთვის არ არსებობს „აბსოლუტური არა“ ან „აბსოლიტური კი“, ან ტერმინები „დაკარგვა“, „შეძენა“, „შავი და თეთრიც“... მე დღესაც წარმოვადგენ ისრაელის ინტერესებს და რას იფიქრებს დროებითი პარტიული ფუნქციონერი ჩემს ქმედებაზე, ნაკლებად მაინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ მადლობელი ვარ მათი დადებითი აღიარებისა.

რაიმე აზრი ან პოზიცია რომ დააფიქსიროს ვინმემ, ალბათ ჯერ ჩემთვის უნდა გახდეს ავტორიტეტი და ჩემზე მეტად უნდა იცოდეს ეს ორი ქვეყანა, მათი შინაარსი და ერთმანეთის საჭიროება. მანამდე დავეყრდნობი ჩემს ხედვას, და შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ საქართველოში ჩემი მოღვაწეობით ურთიერთობები გაფართოვდა და მსურს, შევიტანო ჩემი წვლილი ორი ქვეყნის დაკავშირებაში, ფართო სპექტრით ხიდების აშენებასა და გამყარებაში. მართალია არის შემთხვევები, როდესაც მასშტაბური პროცესები უფრო სწრაფად სრულდება, მაგრამ ვინაიდან ბოლო მისია არის გულის და გონების ერთობლივი გამოძახილი, შესრულება შეიძლება რთული, მაგრამ გამარჯვება გარდაუვალია.

# თემურ შაშიაშვილი: ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ არარაობაა

შორენა კოწოწაშვილი



**„სახალხო კრების“ ერთ–ერთი ლიდერი თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ივანიშვილის გამოჩენამ პოლიტიკაში ხელისუფლება პანიკაში ჩააგდო. შაშიაშვილის თქმით, ივანიშვილს შეეძლო საერთო ეროვნული ლიდერი გამხდარიყო, მაგრამ სხვა გზა აირჩია. შაშიაშვილი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ისე იმოქმედებს საპარლამენტო არჩევნების წინ, როგორც გარედან ეტყვიან.**

გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ ლიდერ **თემურ შაშიაშვილთან.**

***— ბატონო თემურ, პოლიტიკოსთა ნაწილი ფიქრობს, რომ სააკაშვილი გუნდის ერთიანობის შენარჩუნებაზე ბევრს მუშაობს და ამ ფონზე არა მხოლოდ ივანიშვილის, არამედ რიგი თანაგუნდელების წინააღმდეგაც მოქმედებს, რათა მათი პოლიტიკური ამბიციები მოთოკოს. მართლაც ორ ფრონტზე უწევს პრეზიდენტს ბრძოლა და რა ვითარება შეიქმნა ბოლო პერიოდში?***

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის გამო ხელისუფლება დიდ პანიკაშია. ხალხს იმედი მიეცა, ხელისუფლებაში კი პანიკა გაჩნდა თავიდან. შემდეგ პანიკიდან გამოვიდა და გამოვიდა ერთ ბოროტებად შეკრული. ამათ კრავს ის ფაქტი, რომ იციან, ვინც გუნდს დატოვებს, მას სიკვდილი ელოდება. პოლიტიკური სიკვდილი, ეს როგორც მინიმუმ. დღეს ყველაზე მეტად ვინც იცის, ვინ არის მიშა სააკაშვილი და რომ ის არ შეიძლება იყოს ქვეყნის პრეზიდენტი, ეს ხალხი ხელისუფლებაშია. ხელისუფლებაში ყველა უჭკუო ხომ არ არის. იქ არიან ადამიანები, რომლებსაც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაღაცის თქმა არ შეუძლიათ. პირად საუბრებში მე და თქვენ არ გვისაუბრია ისე მძიმედ, რასაც ისინი სააკაშვილზე ლაპარაკობენ. ამბობენ, ფაქტობრივად, ყოველდღე ვართ სტრესში, როგორ ხასიათზე გაიღვიძებს, ვისთან ერთად დალევს, რა წამალს მიიღებს და როგორ მდგომარეობაში, რა დავალებას მოგვცემს და ა.შ. ვიმეორებ, სააკაშვილი პრეზიდენტი რომ არ უნდა იყოს, ეს უფრო მეტად იციან მის გუნდში შიგნით, ვიდრე ჩვენ, გარეთ მყოფებმა. დღეს სიბნელეში ბრძოლას უფრო ჰგავს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის და პოლიტიკოსის ბრძოლა. პოლიტიკოსმა და პარტიის ლიდერმა უნდა იცოდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ანალიზი, ჰქონდეს ქვეყნის პოტენციალის სრული დეტალური ანალიზი და ჰქონდეს ამ მდგომარეობიდან გამოყვანის პროგრამა. თუ რომელიმე პარტიას ეს გააჩნია, ეს არის უკვე ნამდვილი ქართული პარტია. ჩვენი პარტიის მუშაობას ვინც იცნობს, მან იცის, რომ ჩვენ ვიცით დეტალური ანალიზი. ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რა გააჩნია ქვეყანას და ეს მაღალ მეცნიერულ დონეზე გვაქვს დამუშავებული. გვაქვს აგრეთვე მოხაზული კონტური და ივნისში დამთავრდება „საქართველო ხვალ“. მე პირადად ვერ წარმომიდგენია, სიბნელეში ბრძოლა წარმატებით როგორ შეიძლება დამთავრდეს. ათასჯერ მითქვამს და ვიმეორებ, პოლიტიკაში გონება უნდა დაბრუნდეს. გონება უნდა დაბრუნდეს ამომრჩეველთანაც და გონებით უნდა იყოს პრეზიდენტობის ნებისმიერი კანდიდატი პოლიტიკაში შესული და არა ემოციით. სააკაშვილს ბევრი, ვინც ოპოზიციაშია, ხელს ტექნიკურად უწყობს.

***— რას გულისხმობთ ამ ხელშეწყობაში?***

— მოგისმენიათ, არაერთი ლაპარაკობს ასე: ხელისუფლება მოიგებს, სააკაშვილის უკან დიდი ძალაა. ეს არის ხელისუფლების ძალიან შენიღბული მხარდაჭერა. ეს არის ამერიკული საარჩევნო პიარტექნოლოგიები. ამის შედეგად მე კარგად ვხედავ, ვინ ვისკენაა. ძალიან ბევრი ოპოზიციაში რომ არის, ქცევით გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, სააკაშვილს უჭერს მხარს. ვინც დღეს ამბობს, სააკაშვილი ძლიერია, ის სააკაშვილის მხარესაა. სააკაშვილი ასეთი სუსტი, ასეთი წაშლილი პრეზიდენტი, მაგრამ ასეთი თავხედი, უშუბლო და მატყუარა, ძალიან ძნელია სხვაგან სადმე წარმოიდგინო. ამიტომ პოლიტიკოსების გამონათქვამებიდან ბევრი რამ შეიძლება ამოიცნო. დღეს მთავარი კითხვაა: არის თუ არა ქვეყანაში კონფლიქტი. მე გეუბნებით, რომ არის. ერის მამების მიერ საუკუნეების მანძილზე იყო ხაზგასმა, რომ ქვეყანა უნდა იმართებოდეს ერის ბუნებიდან გამომდინარე. ამას ამბობდა ილიაც და სხვებიც. კონფლიქტის ერთ მხარეს დგას, ვინც ამბობს, რომ ქვეყანა უნდა იმართებოდეს ერის ბუნებიდან გამომდინარე, მეორე მხარეს კი დგას ის ხალხი, ვინც ამბობს, ქართველ ხალხს მენტალიტეტი უნდა შევუცვალოთო. აი, ყველაზე დიდი კონფლიქტი, რომელიც დღეს არის ქვეყანაში. ეს არის ორი დაჯახებული გუნდი, ჯგუფი. კატასტროფაა, როცა „ახალი ქართველის“ გამოყვანაზეა საუბარი და ქართველი ერის ეროვნული თვისებების წინააღმდეგ იბრძვიან. ეს არის ტრაგედია, რომლის წინაშეც დღეს რეალურად ვდგავართ. სწორი არჩევანი შეიძლება გააკეთოს იმან, ვისაც აქვს დეტალური ანალიზი ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის. „თეთრებმა“ სააკაშვილის და მისი ხელისუფლების 8 წლიანი მუშაობის შედეგები შევაჯამეთ და ეს ანალიზი დავდეთ. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ თუ ეს ანალიზი არ გაქვს, სწორ დასკვნებს ვერ გააკეთებ.

***— როგორია თქვენი უახლოესი მომავლის პროგნოზი? ივანიშვილმა განაცხადა, რომ ივნისიდან პოლიტიკური ტემპერატურა აიწევს. პოლიტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ ივანიშვილმა გააქტიურება რამდენჯერმე გადადო და ეს მის პოზიციებს არყევს.***

— საქართველოს ბედნიერება იქნებოდა, რომ პირველი: ივანიშვილს უდიდესი ადამიანური რესურსი, რომელიც დაგროვდა მისი მეცნიერების, ისტორიის, კულტურის, ხელოვნებისა და განათლებისადმი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, დროულად გამოყენებულიყო და მას დამატებულიყო პარტიული ანუ ორგანიზაციული რესურსი და ფინანსები, რაც ივანიშვილს გააჩნია. ვიმეორებ, ჩემი აზრით, ივანიშვილი უნდა გამხდარიყო არა რომელიმე პარტიული ჯგუფის ლიდერი, ან თუნდაც ერთი პარტიის ლიდერი. მას ჰქონდა ყველაზე დიდი შანსი და საბედნიეროდ რჩება, რომ ის გამხდარიყო საქართველოს მთელი მოსახლეობის განწყობის გამომხატველი ლიდერი. სამწუხაროდ, ივანიშვილმა ეს გზა არ აირჩია. მას შეეძლო ეთქვა, მე ვქმნი პარტიას და ყველა პარტიისთვის ეთქვა, თქვენ იყარეთ ყველამ ცალ-ცალკე კენჭი, მე რაც შემეძლება მოგეხმარებით, მაგრამ მე პირადად ჩემი პარტიით ვიყრი კენჭს. ეს საქართველოსთვის ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ ის წავიდა სხვა გზით. იცით, რომ პარტიები ივანიშვილმა თავის გემოვნებით აარჩია. პოლიტიკური კონიუნქტურაც დაედო ამ არჩევითობას. ბევრი რამ გაითვალისწინა — ამერიკას რა მოეწონებოდა, ვის რა მოეწონებოდა. მე რომ ვიცნობ მას და ვიცი, რაც მას მოსწონდა, ანუ სინამდვილეში შიგნით მას რაც აქვს, ის რომ გაეკეთებინა და არავითარი ყურადღება არ მიექცია, ვის რა მოეწონებოდა გარეთ, კარგი იქნებოდა. ეს ის კაცია, რომელმაც 10 წელი იცხოვრა ქართულ სოფელში. შექმნა თანამედროვე ქართული სოფელი და ფესვები აქვს ქართულ მიწაში. მას არ სჭირდებოდა ვინმესთვის იმის მტკიცება, ამერიკავ და ევროპავ, მე თქვენთან ვარ; რუსეთო — მე თქვენი წინააღმდეგი ვარ. ეს ისეთი ზედმეტსართებია, ივანიშვილს არ სჭირდებოდა ამ გზით წასულიყო. ამ დღეებში მოვისმინე მისი გამონათქვამი ივნისიდან გააქტიურების თაობაზე. მე ჩვენი პარტიის კონგრესზე 7 აპრილს ვთქვი: მას დარჩა აქტიურობის ორი თვე — მაისი და ივნისი. მაის-ივნისში ის ან მართლაც ხდება დემოკრატიული ფრონტის ლიდერი საქართველოში, ან ერთი პოლიტიკური გუნდის ლიდერი, ან სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდება. ჩვენ სამი წლის წინ ვთქვით, რომ საქართველოს მომავალი არის კონვერგენციის თეორიაში. ამ აზრამდე სწორმა ანალიზმა მიგვიყვანა. ეს თავის დროზე ზვიად გამსახურდიამაც თქვა. ახლა დავოსში ეკონომიკური ფორუმი რომ შედგა, ამ ფორუმმა თქვა: მსოფლიოს მომავალი არის კონვერგენციის თეორიაში. მეწარმეზეა აგებული მთელი მსოფლიო. სადაც მეწარმე თავისუფალია, იქ სასამართლოც თავისუფალია. მე ვარ მეცნიერებაზე დაყრდნობით ქვეყნის მართვის მომხრე. ხომ ნახეთ, როგორც კი ობამა პრეზიდენტი გახდა, პირველად მეცნიერებათა აკადემიაში მივიდა. სააკაშვილი კი მეცნიერების წინააღმდეგია. ასეთი დიდი მეცნიერება გქონდეს, როგორც საქართველოს ჰქონდა, ასე გამოუყენებელი, ასე უსაქმურად აქციო ტვინით გატენილი მეცნიერები, ამით ჩვენ მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ.

***— ბატონო თემურ, მოდით ვისაუბროთ კონსტიტუციურ ნონსენსზე, რომელიც ივანიშვილის ფაქტორიდან გამომდინარე მოვიღეთ. რა აჩვენა ამით საქართველოს ხელისუფლებამ მსოფლიოს?***

— ჩემი პასუხია მოკლე: ივანიშვილმა პირადი გამარჯვება მოიპოვა. ხელისუფლებამ ამით დაადასტურა, რომ ის არარაობაა. ამ ნაბიჯს რომ ხელისუფლება გადადგამს, მას ხელისუფლება არ ჰქვია. ის არარაობაა. საქართველო ამით შეურაცხყოფილია. როდესაც კონსტიტუცია ერთი კაცისთვის იცვლება, ეს ასე მოსდგამს საქართველოს. რაც 2004 წელს სააკაშვილმა გააკეთა, ამერიკის კონსტიტუციაში და ევროპის ყველა კონსტიტუციაში ერთად იმდენი შესწორება არ შესულა, რაც 2004 წელში პრეზიდენტად დანიშნულმა სააკაშვილმა გააკეთა. ამას ამერიკა არც ერთ ქვეყანას არ აპატიებდა, მაგრამ, რადგან თავისი პროექტია, აქ პატიება შეიძლება. მინდა გითხრათ გამოკვეთილად, რომ საქართველოში ქართველია გადასარჩენი 21-ე საუკუნეში და ეს სამწუხაროა; ოსში — ოსი და საქართველოში — ამერიკაა გადასარჩენი. დღეს მოსახლეობის 70%-ს ამერიკის გაგონება არ უნდა. მე არ მესმის, ეს საელჩო ვის მხარესაა. თუ ასე უნდა განადგურდეს ამერიკის ავტორიტეტი, ეს არ შედის ქართულ ინტერესში. ამერიკამ მოითმინა ეს საკონსტიტუციო ცვლილებები. იმ ამერიკამ, რომლის მამებიც ამერიკის კონსტიტუციას რომ ქმნიდნენ, ამბობდნენ: ორი რამისგან უნდა დავიცვათ ამერიკა — ძალაუფლების მოყვარული კაცისა და ფულის მოყვარულისგანო. ანუ ამპარტავნისა და ხარბისგანო. საქართველოს კონსტიტუცია კი არის ის კონსტიტუცია, რომელსაც მოჰყავს მხოლოდ ძალაუფლების მოყვარული და მხოლოდ ხარბი, ფულისმოყვარული.

# ნატო და რუსეთი საქართველოზე ვერ თანხმდებიან

**ნატოს ჩიკაგოს სამიტამდე ერთი თვით ადრე, ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა გაიმართა. ბრიუსელში საქართველოდანაც გაემგზავრა დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის ხელმძღვანელობით.**

ნათია ხურცილავა

საქართველოს დელეგაციის წევრებმა სხვადასხვა დონის შეხვედრები გამართეს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გრიგოლ ვაშაძეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან ჰქონდა.

კლინტონი საქართველოს მეორედ სანამ ეწვევა, მანამ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და სახელმწიფო მდივანმა ჩიკაგოს სამიტზე მისაღები დეკლარაციის დეტალები შეათანხმეს. ბრიუსელში განხილვის მთავარი თემა, როგორც პრესკონფერენციაზე გამოჩნდა, რუსეთის საკითხი იყო.

– ცხადია, რომ შეიძლება ყველა საკითხზე შეთანხმება ვერ მოვახერხოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველა თემის განხილვა მაინც მოგვიწევს. ნატო–რუსეთის საბჭოს სხდომა საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს. ანტისარაკეტო სისტემის პროგრამაში თანამშრომლობამ შეიძლება ჩვენი ურთიერთობა შეცვალოს, რადგან უსაფრთხოების საკითხები ყველა ჩვენგანისთვის უმნიშვნელოვანესია. რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ ეს სისტემა მას საფრთხეს არ უქმნის და არც სტრატეგიული ბალანსის საკითხს არ ეხება. ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსულ მხარესთან დიალოგით გარკვეულ შეთანხმებას მივაღწევთ, როგორც ეს ბოლო 15 წლის მანძილზე იყო, – განაცხადა ბრიუსელში გუშინ ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდრეს ფოგ რასმუსენმა.

ჰილარი კლინტონის თანაშემწე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ფილიპ გორდონი ამერიკასა და რუსეთს შორის უთანხმოების საკითხად საქართველოს ასახელებს.

– საქართველო ამ დრომდე ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება. შეერთებულ შტატებსა და რუსეთს, ნატოსა და რუსეთს შორის შეთანხმება ვერ ხერხდება. ნატო–რუსეთის საბჭოს შეხვედრა ერთ-ერთი შესაძლებლობაა ერთობლივი თანამშრომლობისთვის, საქართველოს საკითხი იქნება უმთავრესი თემა, რომელზეც ჩვენ დაძაბული მსჯელობა გვექნება. შეერთებულ შტატებსაც და ნატოს სხვა წევრებსაც ამ თემაზე ერთიანი პოზიცია გვაქვს, – განაცხადა ფილიპ გორდონმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, საუბარი შეეხო რუსეთის ფედერაციის მიერ დაგეგმილ სამხედრო სწავლებას, რომელიც მისი თქმით საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობას.

– უპირველეს ყოვლისა, შევეხეთ აისაფისის ოპერაციას და იმ ღონისძიებებს, რომელიც 2014 წლამდე უნდა განხორციელდეს. სწორედ ამ დროს კოალიცია ავღანეთს დატოვებს. რა თქმა უნდა, დიდი ყურადღება ორმხრივ საკითხებს დაუთმო. მათ შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, პოლიტიკურ თანამშრომლობას, პოლიტიკურ კონსულტაციებს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის. ასევე ვისაუბრეთ „კავკასია 2012“–ზე, რუსეთის მიერ დაგეგმილ სამხედრო სწავლებებზე, რომელიც უკიდურეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ჩვენს რეგიონში, – განაცხადა ვაშაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თორნიკე გორდაძის განცხადებით, საქართველოს დელეგაცია ჩიკაგოს სამიტის წინ მნიშვნელოვან შეხვედრას გამართავს.


გრიგოლ ვაშაძე

– საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრ ქვეყნებთან შედგება შეხვედრა, სადაც განიხილება სწორედ ჩიკაგოში გასაკეთებელი განცხადებები. ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია ტექსტზე მუშაობის თვალსაზრისით, – განაცხადა გორდაძემ.

20–21 მაისს ნატოს ჩიკაგოს სამიტი გაიმართება. რა მოლოდინები უნდა გვქონდეს ჩიკაგოს სამიტისგან?

ეს არის მთავარი კითხვა, რომელზე პასუხიც ალბათ ძალიან რთულია, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ ნატოში გადაწყვეტილებას მხოლოდ ამერიკა არ იღებს და არც ევროპის რომელიმე ერთი სახელმწიფო. თუმცა, თავის დროზე, ბუქარესტის სამიტზე საქართველოს ესოდენ ნანატრ მაპზე უარი სწორედ ბებერმა ევროპამ, საფრანგეთმა და გერმანიამ უთხრა.

როგორი განწყობა აქვთ ამ ქვეყნებს ამჯერად ჩიკაგოს სამიტის წინ? ამ კითხვით გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კორნელია პიპერს, რომელიც ორი დღის წინ იმყოფებოდა საქართველოში, ჩემმა კოლეგამ მიმართა; გაურკვეველი დარჩა, გერმანელმა დიპლომატმა ინგლისურად დასმული კითხვა ვერ გაიგო თუ ოსტატურად ააცილა კითხვას თავი, მან ჩიკაგოს სამიტის ნაცვლად ევროკავშირის განწყობებზე ისაუბრა.

ცნობილია, რომ ჩიკაგოს ნატოს სამიტი გაფართოების სამიტი არ იქნება. ამდენად, არ უნდა ველოდოთ არც მაპს და არც მაპზე უფრო მეტს, როგორც ამაში ხელისუფლების წარმომადგენლები 2008 წელს გვარწმუნებდნენ.

მიუხედავად ამისა, საქართველო პირველად იქნა მოხსენიებული ბალკანეთის რეგიონის მაპის მქონე ქვეყნებთან ერთად.

საქართველოს ამ ეტაპზე „ასპირანტი პარტნიორის“ სტატუსი აქვს.

რა არის საქართველოსთვის ხელშემშლელი ფაქტორი ნატოსკენ მიმავალ გზაზე?

ექსპერტები რამდენიმე მკაფიო ფაქტორს ასახელებენ: რუსეთის ფაქტორი, 2008 წლის აგვისტოს ომი, ოკუპირებული ტერიტორიები და შიდა დემოკრატია.

ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა ამბობს, რომ ზოგადად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესი დაღმავალია და დემოკრატიის ხარისხი რეგიონში თანდათან იკლებს. უკრაინაზე კი ამბობს, რომ დიდი იმედგაცრუება იყო მისთვის.

ისევ ჩიკაგოს სამიტს რომ დავუბრუნდეთ, კონგრესში ორი საკანონმდებლო აქტი მომზადდა. რესპუბლიკელი კონგრესმენი „მკაფიო გზამკვლევის შეთავაზებას“ ბალკანეთის ქვეყნებსა და საქართველოსთვის ითხოვს.

კონგრესმენები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბარაკ ობამას მოუწოდებენ, ბალკანეთმა და საქართველომ ხელი რომ არ ჩაიქნიონ მკაფიო გზამკვლევი სჭირდებათ. იგივეს მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ურმას პაეტი.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამერიკაში ვიზიტისას ჰილარი კლინტონთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ საქართველოს „ძლიერი პოზიტიური გზავნილი სჭირდება.“

ნატოს გენერალური მდივნის ანდრეს ფოგ რასმუსენის განცხადებით, „დღეს საქართველო გაცილებით უფრო ახლოს დგას ალიანსთან, ვიდრე იდგა რამდენიმე წლის წინ.“

– საქართველო კვლავ რჩება საკითხად, რომელზეც ნატოსა და რუსეთს უთანხმოება აქვთ, – ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ანდერს ფოგ რასმუსენმა ბრიუსელში, ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

გენერალურმა მდივანმა დაასახელა ის საკითხები, რომლებზეც ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომაზე იმსჯელეს.

– ასევე, ვიმსჯელეთ იმ საკითხებზე, რომლებშიც კვლავ გვაქვს უთანხმოება. ერთ-ერთი ასეთი საკითხი საქართველოა. ნატო მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა რასმუსენმა.

რუსეთთან უთანხმოების კიდევ ერთ სფეროდ ნატოს გენერალურმა მდივანმა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა დაასახელა.

– ჩვენ ყველგან და ყოველთვის შეგვიძლია ვიმსჯელოთ საკითხებზე, რომლებზეც ვთანხმდებით თუ ვერ ვთანხმდებით, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

# როგორ გამოიყენებენ პარტიები შემოწირულობებს

**კოალიცია „არჩევანის თავისუფლებისათვის“ წევრი და ექსპერტი საარჩევნო საკითხებში ირაკლი მელაშვილი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მიმდინარე მოლაპარაკებებს აჯამებს. მელაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სწორედ აღნიშნულ საკითხებზე ისაუბრა.**

ნათია ხურცილავა

მელაშვილის განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა რამდენიმე საკითხზე შეთანხმებას უკვე მიაღწიეს. ირაკლი მელაშვილის თქმით,


ირაკლი მელაშვილი

არც ერთი ისეთი იურიდიული პირი, რომელსაც ღიად გამჟღავნებული სიმპათიები და ხედვები აქვს, კანონის რეგულაციის ქვეშ აღარ იქნება. – ცვლილებათა პაკეტის დამტკიცების შემდეგ ეს შეზღუდვები მოიხსნება. ფიზიკურ და იურიდიულ პირზე მონიტორინგი მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ ის პარტიას 60 000 ლარზე მეტი ოდენობით შემოწირულობას გადაურიცხავს, – განაცხადა მელაშვილმა.

მელაშვილის განმარტებით, შეთანხმება ყადაღასთან დაკავშირებულ საკითხზეც შედგა და ყადაღის დადება სასამართლოს გარეშე არ მოხდება. ცნება პოლიტიკურ პარტიასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული პირების შესახებ აღარ იარსებებს. კონტროლის პალატა კი, ერთპიროვნულად მონიტორინგის სუბიექტებს ვერ გამოაცხადებს.

– მკაფიოდ გაიწერა, როგორ უნდა მოხდეს შემოწირულობების მიღება, რაც არავის მისცემს შემოწირულობის ბოროტად გამოყენების უფლებას, – აცხადებს ირაკლი მელაშვილი.

მოლაპარაკებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით კამპანია „ეს შენ გეხებას“ წევრ არასამთავრობოებსა და ხელისუფლებას შორის უკვე თვენახევარია მიმდინარეობს. კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტი საკანონმდებლო ორგანომ პირველი მოსმენით უკვე მიიღო.

# მაცივარი და ტელევიზორი ფუფუნებად აღარ ჩაითვლება

**ახლად დანიშნულმა შრომის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ახალი ინიციატივა, რომელიც სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს ეხებათ, უკვე გაახმოვანა.**

ნათია ხურცილავა

უკვე მაცივრის, ტელევიზორის, საწოლის სახლში არსებობა არ განსაზღვრავს ქულათა მაღალ კოეფიციენტს. ზურაბ ჭიაბერაშვილი გამოდის ინიციატივით, რომ თუ ადრე სოციალურად დაუცველ ადამიანებს იმის გამო უწერდა სოციალური აგენტი მაღალ ქულას, რომ სახლში მაცივარი ან ტელევიზორი მოეპოვებოდა, ასეთი ტექნიკის „აღმოჩენა“ უკვე აქტუალური აღარ არის.

ზოგიერთი საყოფაცხოვრებო ტექნიკის ფლობის მიუხედავად, გაჭირვებული ოჯახები სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში მოხვდებიან. როგორც აღვნიშნეთ, ინიციატივა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკუთვნის.

ახალი ინიციატივა ზურაბ ჭიაბერაშვილმა გორში გუშინ რამდენიმე ოჯახს გააცნო. მინისტრი ნაფიშვილების მრავალშვილიან ოჯახს ესტუმრა, რომლებიც ნაჩუქარი კომპიუტერის გამო ამ დრომდე სახელმწიფოსგან დახმარებას ვერ იღებენ.

სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსის მინიჭებისთვის ნაფიშვილებმა სოციალურ სააგენტოში განაცხადი შეიტანეს, თუმცა კომპიუტერის გამო სოციალურად დაუცველთა სიაში ვერ ხვდებოდნენ.

– თუ სახელმწიფო აცხადებს, რომ კომპიუტერი ფუფუნების საგანი კი არ არის, არამედ მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვების განათლებისა და ჩამოყალიბებების ატრიბუტია, კომპიუტერი აღარ უნდა იყოს ამ ქულათა სისტემისა და ოჯახის დეკლარაციის ნაწილი. ამიტომ, მე გამოვდივარ ინიციატივით, რომ ამოვიღოთ კომპიუტერი შეფასების სისტემიდან. ამ ინიციატივას მთავრობის სხდომაზე გავიტანთ. ასეთ შემთხვევაში, ამ ოჯახს სოციალური აგენტი გადაამოწმებს და დარწმუნებული ვარ, ქულა ისე დაიწევს, რომ ოჯახის ყველა წევრს სადაზღვევო პოლისი ექნება, – აღნიშნა ჭიაბერაშვილმა. სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეფასების სისტემიდან ამოღებული იქნება ასევე, მუსიკალური ცენტრი, მტვერსასრუტი და ტოსტერი. ხშირად ამ ნივთების გამო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები სოციალურ დახმარებას და პოლისებს ვერ იღებდნენ. ინიციატივის შედეგად სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში მოხვედრას და დახმარებების მიღებას უკვე მეტი ოჯახი შეძლებს.


ზურაბ ჭიაბერაშვილი

# დემოკრატული მოძრაობა“ პოლიტპატიმართა საქმეების შესწავლას მოითხოვს

„დემოკრატული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ პოლიტპატიმართა კონკრეტული საქმეების შესწავლის თხოვნით საერთაშორისო თანამეგობრობას და ევროკავშირს მიმართავს. ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრმა ბესიკ ტაბატაძემ განაცხადა. მისი თქმით, ისეთ დიქტატორულ ქვეყანაშიც კი, როგორიც ბელორუსია, პრეზიდენტი ლუკაშენკო იძულებული გახდა პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების პროცესი დაეწყო. ტაბატაძის განმარტებით, ლუკაშენკოს ეს იძულებითი ნაბიჯი გაერო-ს, ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ასევე, ბელორუსის სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ერთობლივმა ბრძოლამ განაპირობა.

ტაბატაძის განცხადებით, საქართველოში ბოლო მონაცემებით ასზე მეტი პოლიტპატიმარია. მათ შორის ყველაზე მეტი 50-მდე პოლიტპატიმარი „სახალხო კრებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრია.

ტაბატაძის განცხადებით, „დემოკრატიული მოძრაობა“ მიესალმება პატიმართა შეწყალების ნებისმიერ ფაქტსაც, თუმცა, მისივე თქმით, შეწყალების კომისიის მუშაობა ხშირ შემთხვევებში პრაქტიკულად გასაიდუმლოებულია.

„წლების განმავლობაში შეწყალების კომისიის მუშაობის პროცესი საზოგადოებისთვის დახურულია, დღემდე უცნობია თუ რა კრიტერიუმებით ხდება შესაწყალებელი პატიმრების სიის შედგენა, ასევე გასაიდუმლოებულია შეწყალებულთა ვინაობა „– აღნიშნა ტაბატაძემ.

მისივე განცხადებით, არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმის შესახებ, რომ ამგვარი შეწყალებებით ხელისუფლებასთან გარიგებულ ე.წ კრიმინალურ ავტორიტეტებს ათავისუფლებენ, რათა მათი დახმარებით მოსახლეობის ნაწილის დაშინება და წინასაარჩევნო პერიოდში მათი მართვა მოახდინონ.

**ნიუსპრესი**

# პუტინს ჰგონია, რომ ევრაზიული კავშირი 2015 წელს შეიქმნება

თამარ ნინიძე

**საინფორმაციო სააგენტო „პირველმა“ ამერიკული გამოცემა „ნეიშენლ ინტერესტის“ მიერ გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკურ გეგმებს ეხება უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე.**

ამერიკული გამოცემის ანალიტიკოსების თვალსაზრისით ევრაზიული კავშირის შექმნა იმაზე რთული ამოცანა შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე პუტინი ფიქრობს. ვლადიმერ პუტინმა პრემიერმინისტრობის ბოლო პერიოდში ხუთ პრიორიტეტულ ამოცანაზე ისაუბრა, რომელიც მისი პრეზიდენტობის პერიოდში უნდა შესრულდეს. ქართველებისთვის ყველაზე საყურადღებო მეხუთე პრიორიტეტია, კონკრეტულად ევრაზიულ სივრცეში თანამშრომლობის გაძლიერება, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შემდგომი ინტეგრაციის გზით რუსეთის საერთაშორისო პოზიციების განმტკიცება. როგორც ვხედავთ, პუტინი ისევ რუსეთის „ველიკოდერჟავულ“ ამბიციებზე აცხადებს პრეტენზიას და სწორედ რუსეთის – უფროსი ძმის გარშემო უნდა იტრიალონ სხვა რესპუბლიკებმა ისევე, როგორც დედამიწის გარშემო ბრუნავს მთვარე.

გამოცემის ანალიტიკოსები წერენ, რომ რუსეთი კარგა ხანია საბაჟო კავშირის წევრ ყაზახეთთან და ბელორუსთან ერთად ცდილობს საერთო ეკონომიკურ სივრცეში უკრაინის ჩათრევას. ჩვენ აქ უნდა გავიხსენოთ უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების დაძაბული პროცესები, როცა საქართველოს დელეგაციას პრობლემები შეექმნა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ეს უსაფუძვლო როდი ყოფილა. გივი თარგამაძე და ძმანი მისნი უკრაინაში იულია ტიმოშენკოს უჭერდნენ მხარს და არა იანუკოვიჩს. აქაოდა, ტიმოშენკო უფრო დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებს რუსეთთანო, თუმცა ახლა უკვე ჩანს, რომ ევრაზიული კავშირის მიმართ უკრაინის ამჟამინდელ პრეზიდენტს ოპტიმისტური დამოკიდებულება არა აქვს და ფრთხილობს. ახლახან გავრცელდა უკრაინის პრეზიდენტის მოსაზრება, რომ უკრაინა ფრთხილად ეკიდება ამ გაერთიანებას და აეჭვებს რიგი გარემოებები, რომელიც სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეუქმნის საფრთხეს. ამგვარად უკრაინა სულაც არ არის ის სახელმწიფო, რომელსაც პუტინი ევრაზიულ კავშირში უპრობლემოდ შეათრევს.

ევრაზიის ხელშეკრულებაზე, როგორც ამას პუტინი იმედოვნებს, მუშაობა 2015 წლისთვის დასრულდება. პუტინი რუსეთს კვლავ რეგიონის ცენტრად მოიაზრებს. ამბიციები რუსეთს იმხელა აქვს, რამხელაც დიადი კომუნიზმის მშენებლობის დროს სტალინს ჰქონდა, მაგრამ მაშინდელი მსოფლიო და ახლანდელი მსოფლიო რადიკალურად განსხვავდება. მიუხედავად ამისა, გამოცემა „ნეიშნლ ინტერესტი“ წერს, რომ ევროატლანტიკური ინსტიტუტების აღმოსავლეთით ექსპანსიის დასრულების და სამხრეთ-აღმოსავლეთით აზიისადმი ჩინეთის პრიორიტეტული დამოკიდებულების ფონზე მოსკოვი გრძნობს, რომ მას ახალი ევრაზიის კონსოლიდაციის შესაძლებლობა აქვს, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის ევროპული და აზიური გავლენის სფეროებად დანაწევრების ნაცვლად, რუსეთს შეუძლია ხელახლა იქცეს მსოფლიო არენაზე ისეთ ზესახელმწიფოდ, რომელიც დასავლეთით – ევროკავშირის და აღმოსავლეთით კი ჩინეთის საპირწონე გახდება.

უცხოელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რუსული ენა ბიზნესის ენა გახდება, ევრაზიული გაერთიანება კი მხოლოდ ეკონომიკური ერთიანობა არ იქნება, ეს უნდა იყოს პოლიტიკური კავშირი, სადაც სუბიექტები იძულებული იქნებიან არ გაერთიანდნენ სხვა კავშირებში, თუნდაც ეს ნატო კი არა, ევროკავშირი იყოს. რუსეთი მათ ამის საშუალებას მოუსპობს. მაგრამ მაინც ეს არ არის ავტომატური პროცესი, საამისოდ რუსეთს აღარ აქვს რესურსები ძალადობრივი გზით მოახდინოს ქვეყნების ანექსია და რაღაც გაერთიანებაში მათი მოქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსი დიდწილად ისევ რუსეთზეა დამოკიდებული და მის ენერგორესურსებს იყენებს, ლუკაშენკო მაინც არ არის იმ კატეგორიის მმართველი, დამოუკიდებლობა იოლად დათმოს.

ყოველივე ამის ფონზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ აპირებს რუსეთს დაუთმოს გეოპოლიტიკური ბატონობა, მით უმეტეს, სამხრეთ კავკასიაში. საქართველო დასავლეთისაა და მასზეა მყარად მიბმული, აზერბაიჯანი ამ ეტაპზე ნეიტრალურია, მაგრამ ის მაინც კეთილგანწყობილია დასავლეთის მიმართ, სომხეთს რაც შეეხება, მას დიდი ლობი ჰყავს ამერიკასა და საფრანგეთში, სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა გაგრძელდება. სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით ბაქოში გაიმართა ნატოს შესახებ კონფერენცია, სადაც ნატოს შტაბბინის წარმომადგენელმა სტეფან ელგერზმა ხაზი გაუსვა ალიანსისთვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მნიშვნელობას. ეს ქვეყნები ირანის მეზობლები არიან, ნატო კი ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. რეგიონში კონფლიქტები არასტაბილურ სიტუაციას ქმნის როგორც რეგიონისთვის, ისევე მის ფარგლებს გარეთ. დასავლეთი კი ხედავს, რომ რუსეთი აქ მხოლოდ პრეტენზიას აცხადებს მშვიდობისმყოფელობასა და შუამავლობაზე, სინამდვილეში ამ კონფლიქტების ესკალაცია უკეთ გამოსდის და მისი განზრახვა და მიზანი გასაგებია, არსებული კონფლიქტებით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ასევე საქართველოში სეპარატიზმის მხარდაჭერით ის ცდილობს დააკავოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები და მათი განვითარება შეაფერხოს. ასე რომ, გეოპოლიტიკური ბრძოლა პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდება და კულმინაციას მიაღწევს. პუტინის რადიკალიზმს ჯერჯერობით ამერიკა მხოლოდ ობამას გადატვირთვით, ევროპა კი მერკელისა და სარკოზის რუსეთისადმი ლოიალური პოლიტიკით ხვდება.

# კახეთში ნებაყოფლობითი რეზერვი არ მოსწონთ

ქეთი ხომერიკი



**სამეგრელოს შემდეგ ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვის ჩამოყალიბება კახეთშიც დაიწყო და გვახარა კიდეც პრეზიდენტმა, ყველა სოფელში რეზერვისტთა ჯგუფი შეიქმნებაო... მოსიაშვილის თქმით, კახეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილი სკეპტიკურად შეხვდა ამ ე.წ. ნებაყოფლობით რეზერვს, მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები შეხვდნენ ამას დიდი აღტაცებით. რა უთხრა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმა კახეთის მცხოვრებლებს, რატომ ურიგდებათ იარაღი საზღვრისპირა სოფლების მკვიდრთ და რა საფრთხეებს ხედავს კუკავას თანაპარტიელი, „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი ესაუბრა.**

**გიორგი მოსიაშვილი:**

– სამეგრელოს შემდეგ შეიარაღებული ფორმირების, ამ ე.წ ნებაყოფლობითი რეზერვის ჩამოყალიბება კახეთის რეგიონში დაიწყო. მინდა თავშივე აღვნიშნო და ხაზი გავუსვა ერთ რამეს – საქართველოში არის კანონით გამყარებული სარეზერვო სამსახურში მონაწილეობის მიღება და გავლა, მაგრამ ეს სხვა რამ არის და როგორც ხელისუფლებამაც შემდეგ გაასაჯაროვა, ეს არის არა ის რეზერვი, რომელსაც კანონი ითვალისწინებს, არამედ ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვი, რომელიც ხელისუფლების განმარტებით ის სამსახურია, სადაც ადამიანებს შეუძლიათ ნებაყოფლობით ჩაწერა, ასე ვთქვათ, სტიქიური უბედურებების დროს. და აქვე იყო თავიდან ჯერ შეფარულად ნათქვამი და შემდეგ უკვე ხმამაღლაც თქვეს, რომ სხვადასხვა თავდასხმებისა და საბრძოლო მოქმედებების დროს მიიღებდა ეს ხალხი ამ პროცესებში მონაწილეობას. ჩემი ინფორმაციით, მათ განუმარტეს, რომ აბსოლუტურად ყველას, როცა დასრულდებოდა სიების შედგენა, დაენიშნებოდათ ათმეთაურები, ოცმეთაურები, ასმეთაურები და ბატალიონის მეთაურები. გარდა ამისა, გადაეცემოდათ ფორმა, სამხედრო უნიფორმაზეა საუბარი, რომელიც ყველას ექნებოდა სახლში, ხოლო იარაღი ყველაზე მიმაგრდებოდა და მათზე მიმაგრებული იარაღი, ვთქვათ, სოფლის თუ მუნიციპალიტეტების პოლიციის სხვადასხვა განყოფილებაში იქნებოდა შენახული. საჭიროების შემთხვევაში კი გამოცხადდებოდნენ კონკრეტულ ადგილას, უხსნიდნენ, სადაც შეხვედრების დროს, მაგალითად, სოფლის კლუბში ან გამგეობის შენობაში და იქ უკვე აიღებდნენ იარაღს. აი, ამ ყველაფერმა მიიღო ძალიან სახიფათო მასშტაბი და ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ სხვადასხვა სოფლებში ეს ძირითადად დაიწყო არა პირდაპირ მუნიციპალიტეტებში, ანუ რაიონულ ცენტრებში, არამედ უფრო სოფლებში. ამ სოფლებში ჯერ ჩადიან თავდაცვის სამინისტროს დაბალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები და მუნიციპალიტეტში არსებული გაწვევის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ამზადებენ, მობილიზებას უკეთებენ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს. ეს გარკვეული ნაწილი კი, ძირითადად ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერია. ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც არჩევნებისთვის და საარჩევნოდ ნაციონალურ მოძრაობა აქტიურად იყენებს. უბნებზე ჰყავთ დამკვირვებლებად, კომისიის წევრებად და ა.შ. ეს ის ხალხია, რომელიც ისედაც ნაციონალური მოძრაობის აგიტაციას ეწევა.

***– კი მაგრამ, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებზეა საუბარი? მოხალისეები არ არიან, რომლებსაც სურთ ამ წვრთნებში მონაწილეობის მიღება?***

– დიახ, ჯერჯერობით, ძირითადად მათზეა საუბარი, თუმცა პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება, რომ ჩვენ ვართ 50 000-ზე ასული და 100 000-ზე უნდა ავიდეთო და ჩემი ინფორმაციით, ამ ადამიანებს მიეცათ დავალება, რომ სხვა ადამიანებზეც გავიდნენ, ისეთებზე, ვინც პოლიტიკურად ნეიტრალურია, გინდაც რომელიმე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერია, ანუ უნდა მოხდეს მათი გადაბირება, ამ წვრთნებში ჩართვა. აი, მაგალითად, დედოფლისწყაროს მაგალითზე გეტყვით. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ვინმე პავლიაშვილი ინგა, ჩავიდა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში, 2 დღე იმუშავა, ვგულისხმობ იმას, რომ ის კარდაკარ დადიოდა სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულთან ერთად, შეადგინა, ასე ვთქვათ, დოსიეები, თუ ვინ არიან ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი, ხოლო 2 დღის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი, გვარად ბეგაშვილი ჩამოვიდა, შეხვდა ამ ხალხს და განუმარტა, რომ თუ ისეთი შემთხვევა იქნება, რომ საქართველოს საბრძოლო მოქმედებებში მოუწია ჩართვა, მათ ექნებათ იარაღი მომაგრებული და მიიღებენ ამაში მონაწილეობას. ყველაზე აღმაშფოთებელი ფაქტი რა არის იცით? ის, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც საზღვრის პირას ცხოვრობენ, უთხრეს – თქვენ გაივლით წვრთნას, რომელიც 5 დღიანია (მათივე განცხადებებით) და ამის შემდეგ, არა თუ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში დაგირიგებთ იარაღს, არამედ ამ წვრთნის გავლის შემდეგ მიიღებთ იარაღსო. აქ, ალბათ, ბუნებრივი კითხვა გაუჩნდება მკითხველს – 5 დღიან გადამზადებაში განა იმდენი რა უნდა შეისწავლოს ადამიანმა, რომ ვანდოთ იარაღი, თანაც ამას ხომ შეიძლება სხვადასხვა გართულებები მოჰყვეს? გასაგებია, რომ საზღვრისპირაა, მაგრამ იარაღი რომ მასობრივად დარიგდება სოფელში, ამას შეიძლება რაღაც გართულებები და უბედურებები მოჰყვეს.

***– და რა უთხრეს, რატომ ან რისთვის დაგირიგებთ იარაღს ამ წვრთნების გავლის შემდეგ და რა საბრძოლო მოქმედებებზეა საუბარიო?***

– არ დაუკონკრეტებიათ და უყურეთ, რა ხდება, ხელისუფლებამ დაიწყო ეს ყველაფერი სამეგრელოდან, მაგრამ რომ ვერ დაფარა, პრევენციული მიზნით ბოკერიას საშუალებით მედიაში გააჟღერა ასეთი მომენტი, რომ არ გამორიცხავდნენ რაღაც პროვოკაციებს რუსეთის მხრიდან და აქედან გამომდინარე, არ ვიცი, პრევენციულად თუ ორგანიზებულად რომ შეხვდნენ, ასე ვთქვათ, ამ პროვოკაციას, ამიტომ ქმნიან ასეთ დაჯგუფებებს თურმე. აი, ეს უკვე იწვევს ეჭვს ძალიან ბევრ რამეზე. მაშინ, როდესაც არჩევნები კარზეა მომდგარი და შესაძლებელია ნაციონალურმა მოძრაობამ ვეღარ გააყალბოს ეს არჩევნები, რადგან ლეგიტიმაცია აღარ მოხდება გაყალბებული არჩევნების, ამის გამო ათას რამეს მოიფიქრებენ. არ ვიცი, ხელისუფლებას რა მოუვა თავში და ამას როგორ გამოიყენებს.

***– ფიქრობთ, მოქალაქეებთან დასაპირისპირებლად წვრთნიან ამ ადამიანებს, თუ სხვა რამესთან გვაქვს საქმე? ზოგი რუსეთის ფაქტორსაც კი უკავშირებს...***

– მინდა გითხრათ, რომ რაღაც დონის სამხედრო განათლება მაქვს და საქართველოში წარმოებულ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ ყველა ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა, პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაცია რომ ჩატარდა ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე ვმუშაობდი და გეტყვით, რომ ასე ეფექტს, საბრძოლო ეფექტს ვერ მივიღებთ, მეტიც, ამ 5 დღიანი გადამზადებით და თუ ისიც მოხდა, რომ იარაღიც დაარიგეს, რას მივიღებთ იცით? გართულებები უფრო მოჰყვება ამას, ვიდრე პოზიტივები. ჯარში ხალხი 2 წელია და იქ ვერ სწავლობს ვერაფერს და 5 დღეში რა უნდა ასწავლონ ამათ. არ ვიცი, ეს არის ისეთი თემა, რომ შეიძლება ორი მიმართულებით იყოს, ერთი შიდა მოხმარებისთვის, მეორე - გარე ფაქტორისთვის, ვიღაცას დაანახონ, რომ შეიარაღებული რაზმები ჰყავთ. მე მაინც მგონია, რომ ეს არის შიდა მოხმარებისთვის.

***– ხელისუფლება კი ჯიუტად ირწმუნება, რადგან 2008 წელს რეზერვმა არ გაამართლა, სწორედ ახლა ვმუშაობთ ამ მიმართულებით, ეს არის და ესო...***

– ეს უსუსური არგუმენტია, რადგან რეზერვმა, რომელიც იყო 45 დღიანი, ვერ გაამართლა და 5 დღიანი გაამართლებს? 45 დღე ამზადებდნენ ამ ხალხს, კანონით დადგენილიც იყო ეს გაწვევა და როგორ შეიძლება მოსახლეობამ ირწმუნოს ის, რომ 5 დღეში გადამზადებული ადამიანი გაამართლებს? პანკისის ხეობასთანაც იგივე პრობლემა გვქონდა, ეს სათუთი თემაა, მაგრამ ვიტყვი ერთ რამეს. კი ბატონო, ახლა გართულებები არ გვაქვს პანკისის ხეობაში, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენი მეზობელი რუსეთი აღიქვამს ამ ტერიტორიას მტკივნეულად, რადგან ჩეჩნეთს ესაზღვრება და როდესაც დარიგდება იარაღი პანკისის ხეობაში, შეიძლება რაღაც გართულებები კიდევ გამოიწვიოს ამან. რაც შეეხება საუბრებს, რომ მოსახლეობა სიხარულით შეხვდა ამ ნებაყოფლობით რეზერვს, ეს ტყუილია, კახეთში სკეპტიკურად შეხვდნენ ამას, მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრები შეხვდნენ დიდი აღტაცებით. მოსახლეობაში პოპულარობას ვერ პოულობს ეს. ამ ეტაპზე ყველა თავს იკავებს ამ რეზერვში მისვლისგან. მეტიც, ეჭვის თვალით უყურებენ. ვიმეორებ, ვაშას ძახილით ამ რაზმებში არ ერთიანდებიან. მოსახლეობის ნაწილი კი (ქალბატონები, მოხუცები) დაშინებულია და ბუნებრივია, აქვს კიდეც შიშის საფუძველი. სამსახურის, ბიზნესის და ა.შ. დაკარგვის შიშით დაშინებულ-გაჩუმებულ ხალხს, კიდევ ერთი შიშის ფაქტორი დაუმატეს, რომელსაც ნებაყოფლობითი რეზერვი ჰქვია.


## milocva



ქართველ, მართლმადიდებელ, მორწმუნე, დალის ხეობაში გაზრდილსა და აღზრდილ სვან ვაჟკაცს, უშიშარ ადამიანს

**თენგიზ სამსონის ძე სუბელიანს**

ვულოცავთ 60 წლის იუბილეს. თავის შვილებთან, კობა, გიორგი, ხატია, მაკასთან, შვილიშვილებთან მარიამ, გიორგი, ნიკოლოზ, ნინო და კესარიასთან ერთად. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აქტიურ მებრძოლს, სახელმწიფო ჯილდოს ღირსეულ მატარებელს ვუსურვებთ სოფელ აჟარაში დაბრუნებას, სადაც მამა სამსონი და ძმა ოთარი ასვენია. სიბერის ჟამს დაგეკვებოთ მშვიდობა და ჯანმრთელობა. ბატონი თენგიზის ლექსით ვამთავრებთ:

მე ვაკვირდები ჩემს „ბაგადაზე“
გაფანტულ მასრებს, გატეხილ მშვილდებს
ჩამომიტანეთ დალის ბალახი
ამ იუბილეზე ის დამამშვიდებს.

*პატივისცემით,*
*მეგობრები*
*და კოლეგები*


## ჯონ ბასი გრიგოლ ვაშაძისა და ჰილარი კლინტონის შეხვედრას პროდუქტიულად აფასებს

საქართველოში შეერთებული შტატების ელჩის ჯონ ბასის შეფასებით, ვაშაძისა და კლინთონის შეხვედრა სამუშაო ხასიათისაა და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აშშ საქართველოს ევროინტეგრაციის სურვილს მხარს უჭერს.

ამის შესახებ ელჩმა მარნეულში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი გახსნისას განაცხადა.

„მსგავსი ფორუმების დროს ჰილარი კლინთონი ხშირად ხვდება თავის კოლეგებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით კი პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებს. ეს შეხვედრა ძალიან პროდუქტიული იყო და კიდევ ერთხელ ასახავს ჩვენს განწყობას და მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი, ასევე იმას, რომ ჩვენ საქართველოს სურვილს გახდეს ევროატლანტიკური გაერთიანების წევრი, მხარს ვუჭერთ“, – განაცხადა ელჩმა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჰილარი ქლინთონს გუშინწინ შეხვდა. რუსული პრესის ინფორმაციით, მხარეებმა სხვა საკითხებთან ერთად, ფედერაციის მიერ დაგეგმილ მასშტაბურ სამხედრო წვრთნებზე „კავკასია 2012“-ზეც ისაუბრეს.

მარნეულში გახსნილ ცენტრში, რომელიც ამერიკის მთავრობის დაფინანსებით შეიქმნა და საზოგადოებას სხვადასხვა საკითხების განსახილველად ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენს, მოეწყობა შეხვედრები, როგორც ხელისუფლებასთან, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. ცენტრს აქვს ბიბლიოთეკა და ინტერნეტი, რომლითაც სარგებლობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

მედიანიუსი

# პატრიარქი ჩვილებს ორ ეტაპად მონათლავს

ეკა ირემაშვილი



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის ნათლულებს ორ ეტაპად მონათლავს. როგორც საქველმოქმედო ფონდ „ლაზარეში" განმარტავენ, რიგით 22-ე საყოველთაო ნათლობისთვის 830 პატარა დარეგისტრირდა, სწორედ ამიტომ საჯარო ნათლობა ორ ეტაპად გაიყოფა და 22 და 29 აპრილს გაიმართება. ნათლობის საიდუმლოს სამების ტაძარში სასულიერო პირები აღასრულებენ. პატრიარქის ყველა ნათლულს გადაეცემა ნათლობის სანთელი და ჯვარი თავისი ნათლიისგან. ნათლობის საიდუმლოს დასრულების შემდეგ კი სამების ტაძარში ილია მეორე მივა, თავის ნათლულებს დალოცავს და ახალი აღთქმითა და ნათლობის მოწმობით დაასაჩუქრებს.

პირველი საჯარო ნათლობის დღეს, 22 აპრილს ეკლესია კვირაცხოვლობას აღნიშნავს, ხოლო 29 აპრილს მენელსაცხებლე დედათა კვირაა. საქართველოს პატრიარქს უკვე 10.977 ნათლული ჰყავს. რიგით 21-ე საჯარო ნათლობა სამების ტაძარში 19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულზე ჩატარდა. მაშინ საქართველოს პატრიარქმა 500-ზე მეტი პატარა მონათლა.

ამ ტრადიციას მისმა უწმინდესობამ საფუძველი 2008 წლის 19 იანვარს, ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე ჩაუყარა. ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ილია მეორე გამოვიდა ინიციატივით, ჯვარდაწერილი მშობლების ყოველი მესამე და მომდევნო შვილის ნათლია გამხდარიყო. საქართველოს პატრიარქის ამ მოწოდებას ქართულ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მისმა უწმინდესობამ ისიც განაცხადა, რომ მშობლების სურვილის შემთხვევაში, ის მზად არის მეოთხე ბავშვის ნათლიაც გახდეს, მათ შვილს ქართული ეკლესიის ტახტის მცველის წოდება უბოძოს, ხოლო მის მშობლებს გმირი მშობლების ტიტული მიანიჭოს.

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში ყოველ სამშაბათს პატრიარქის ნათლულთა მშობლებთან შეხვედრები იმართება, სადაც სასულიერო პირები იმ დიდ მადლსა და სიხარულზე საუბრობენ, რომელიც პატრიარქის ნათლულთა ოჯახებისთვის ასეთი საჩუქარია. ცნობილი გახდა, რომ ილია მეორის სურვილია, მომავალში მისი ნათლულების სახელზე ტაძარი აიგოს, რომლის მშენებლობაშიც მისი ნათლულები სურვილისამებრ გაიღებენ შემოწირულობას, თუმცა სად აშენდება ტაძარი და როდის გაიჭრება საძირკველი, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

# გაზეთი ივერია" 135 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული გაზეთი „ივერია" 135 წლისაა. გაზეთ „ივერიას" პირველი ნომრის გამოცემიდან 135 წლის იუბილეს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი გაზეთის უძველესი ნომრებისა და გამოცემასთან დაკავშირებული ისტორიული დოკუმენტების მიმოხილვას უძღვნის.

— გაზეთი „ივერია" ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული გამოცემა იყო, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1877 წლიდან ყოველკვირეულ გაზეთად, 1879-1885 წლებში — ჟურნალის სახით, 1886 წლიდან კი ისევ გაზეთად, მაგრამ უკვე ყოველდღიურად, — განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

გაზეთის ნომრებთან ერთად, ეროვნულ არქივში დაცულია გამოცემის დაფუძნებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ინფორმაცია მისი მიმართულებებისა და სარედაქციო ცვლილებების შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

— ამ გამოცემის დამაარსებელი, გამომცემელი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე იყო. 1881 წელს „დროებისა" და „ივერიის" რედაქციების გაერთიანებისას მისი თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. ორი წლის განმავლობაში „ივერიას" რედაქტორობდა ივანე მაჩაბელი. სხვადასხვა წლებში ამ გაზეთს სხვადასხვა რედაქტორი ჰყავდა — ალექსანდრე სარაჯიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, გაზეთის დახურვამდე კი მას ფილიპე გოგიჩაიშვილი რედაქტორობდა. „ივერია" იყო მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანო, მისი პროგრამის ძირითადი ნაწილი ითვალისწინებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეის სამსახურს. გამოცემა თემატურად მრავალფეროვანი იყო, რაც განსაზღვრა ქართველი ხალხის ეროვნულმა, სოციალ-ეკონომიკურმა და კულტურულმა ვითარებამ და რედაქტორისა და მისი თანამშრომლების განმანათლებელმა იდეებმა. გაზეთი აშუქებდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ისტორიის, ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, სოციოლოგიის საკითხებს. სწორედ ილია ჭავჭავაძემ დანერგა პუბლიცისტური ჟანრი „შინაური მიმოხილვა", რომელიც ვრცლად და ფართოდ ასახავდა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ეკა ირემაშვილი

# ნიკა თავაძე სტრიპტიზს წარმოადგენს

**სამეფო უბნის თეატრში პრემიერაა. რეჟისორმა ნიკა თავაძემ არც მეტი არ ნაკლები სტრიპტიზი დადგა. საპრემიერო ჩვენებები თეატრის სცენაზე 22, 23, 24, 28 და 29 აპრილს იქნება წარმოდგენილი. რეჟისორმა და მსახიობმა წარმოდგენა სლავომირ მროჟეკის ამავე სახელწოდების პიესის მიხედვით განახორციელა.**

**სპექტაკლი მხატვრულად მურაზ მურვანიძემ გააფორმა, კომპოზიტორია ნიკა ფასური. სპექტაკლში ორი მსახიობი მონაწილეობს — პაატა ინაური და დათა თავაძე. როგორც თეატრის ხელმძღვანელი მერაბ თავაძე აღნიშნავს, მან სპექტაკლი უკვე ჩაიბარა და ახლა ბოლო შესწორებები მიმდინარეობს.**

— სპექტაკლი უკვე ჩავიბარე, დარჩა კიდევ რაღაცები გასასწორებელი და რეჟისორი მსახიობებთან ერთად ბოლო დეტალებს ათანხმებს. პრემიერამდე რამდენიმე დღე დარჩა, ამიტომ ყველა ენერვიულობთ, — განაცხადა მერაბ თავაძემ.

პოლონელი დრამატურგის, მწერლისა და კარიკატურისტის სლავომირ მროჟეკის პიესები მთელ მსოფლიოში აქტიურად იდგმება. მისი პირველი პიესა „პოლიცია" 1958 წელს გამოიცა. თუმცა, ნამდვილი წარმატება შემდეგმა პიესამ „ტანგომ" მოუტანა და „მსოფლიოში ყველაზე აღიარებულ პოლონელ აბსურდისტად" აქცია.

სლავომირ მროჟეკი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დადგმული თანამედროვე ევროპელი დრამატურგია. მისი პიესები — „ემიგრანტები", „სახლი საზღვარზე", „ქვრივები" საქართველოს სხვადასხვა სცენებზე მათ შორის სამეფო უბნის თეატრში იდგმება. ამ თეატრში რეჟისორმა დავით საყვარელიძემ მროჟეკის „სახლი საზღვარზე" ზუსტად ათი წლის წინ დადგა. ამჯერად სამეფო უბნის თეატრი, სლავომირ მროჟეკის ორკაციან „სტრიპტიზს" წარმოგიდგენთ.

სამეფო უბნის თეატრი ყველა თბილისში არსებული თეატრისგან რადიკალურად განსხვავებულია, შენობა აგებული იყო, როგორც მცირე ზომის ქარვასლა. XIX საუკუნის ბოლოს შენობა დაიწვა. მისი აღდგენა მხოლოდ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში მოხერხდა. ძირითადი რეკონსტრუქციის შემდეგ არსებულ შენობას თითქმის ორი მესამედი მოემატა. მასში დაარსდა პირველი მაისის სახელობის კლუბი, სადაც მრავალი სხვადასხვა ეროვნების სამხატვრო წრე ფუნქციონირებდა, თეატრალურის ჩათვლით. 1988 წელს სომხეთში მომხდარმა მიწისძვრამ, თბილისის სხვა მრავალ სახლთან ერთად, ეს შენობაც მნიშვნელოვნად დააზიანა. მას შემდეგ შენობა დაცარიელდა. უპატრონოდ მდგარი ისტორიული ნაგებობა ნელ-ნელა ინგრეოდა და ნადგურდებოდა. 1991-92 წლებში უბნის ნაგავსაყრელად იქცა, შემდეგ კი მოულოდნელად გაჩენილი ხანძრისგან თითქმის დაიწვა. 1985 წლიდან მსახიობმა იზა გიგოშვილმა ახალი მიმართულების თეატრი შექმნა. მისი ექსპერიმენტი ჯერ სასწავლო თეატრში განხორციელდა სპექტაკლით „უკვდავების სერაფიმები", რომელიც მისმა მეუღლემ კინორეჟისორმა მერაბ თავაძემ დადგა, შემდეგ კი რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი „მოვედ სიყვარულისთვის", ამ სპექატკლის დადგმაც მერაბ თავაძეს ეკუთვნოდა. 1993 წელს იზა გიგოშვილის და მერაბ თავაძის თაოსნობით გერმანიაში განხორციელდა ქართულ-გერმანული პროექტი „ოიდიპოს მეფე" და „ოიდიპოსი კოლონოსში". პროექტი, რომელიც მთლიანად გერმანულმა მხარემ დააფინანსა, ქართველი მსახიობების 15 კაციანი დასით თბილისის სხვადასხვა თეატრიდან, ქალაქ ესენში „გრილო-თეატრში" განხორციელდა. სპექტაკლის რეჟისორები იყვნენ მათიას კნისბეკი, მიხეილ ზევალდი და მერაბ თავაძე. გერმანიიდან ჩამოსვლის შემდეგ იზა გიგოშვილი, მერაბ თავაძე და ნიკა თავაძე შეუდგნენ ახალი თეატრისათვის შენობის შერჩევას და არჩევანი სწორედ იმ ნანგრევებად ქცეულ შენობაზე შეაჩერეს. შენობის აღდგენას წლები დასჭირდა. პირველი სპექტაკლი ამ თეატრში 1997 წლის 18 ივნისს ჩატარდა. მას შემდეგ სამეფო უბნის თეატრი აქტიურად ჩაება თეატრალურ ცხოვრებაში და არაერთ თეატრალურ დასს უმასპინძლა — რუსთაველის თეატრს, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრს, სოხუმის თეატრს.




სამეფო უბნის თეატრში მუშაობდნენ და დღესაც აგრძელებენ მუშაობას ქართული თეატრის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან თემურ ჩხეიძე, რობერტ სტურუა, გოგა თავაძე, დათო საყვარელიძე, ცოტნე ნაკაშიძე, მაკა მახარაძე. მხატვრები — მურაზ მურვანიძე, გუგა კოტეტიშვილი, ანკა კალატოზიშვილი. მსახიობები — იზა გიგოშვილი, მედეა ჩახავა, თამარ სხირტლაძე, მარლენ ეგუტია, ნატა მურვანიძე, ნინო ბურდული, ნიკა თავაძე, ზაალ ჩიქობავა, ლევან ყოჩიაშვილი, ეკა ჩხეიძე, გიორგი ნაკაშიძე, ლეო ანთაძე, მალხაზ აბულაძე.

უკვე 8 წელია თეატრში ფუნქციონირებს შემოქმედებითი სახელოსნო თემურ ჩხეიძის ხელმძღვანელობით. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი კი უკვე 9 წელია მერაბ თავაძეა.

— „რას ნიშნავს თავისუფლება? ეს არის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. სანამ მე აი, აქ ვზივარ, კარი ღიაა და ვიცი, რომ ნებისმიერ წუთს შემიძლია გავიდე, თავისუფალი ვარ. მაგრამ, საკმარისია ავდგე და გავიდე არჩევანს გავაკეთებ და შესაბამისად გამოვრიცხავ შესაძლებლობას ან ასე მოვიქცე, ან ისე. სხვაგვარად შევიზღუდავ თავისუფლებას. ჩემი გასვლის მონა გავხდები!" — ეს სიტყვები დრამატურგის პიესიდანაა.

„სტრიპტიზი" არის პიესა იმაზე, თუ რას ნიშნავს არ იყო თავისუფალი.

— ორი კაცი პატიმრობაში აღმოჩნდა. მათ არ იციან, ვინ დააპატიმრა, ან რა მიზეზით. ერთს გადაწყვეტილი აქვს არ იმოქმედოს და ბედს შეეგუოს, რადგან არჩევნის გაკეთებით ის დაკარგავს არჩევანის შესაძლებლობას. მეორე კი პირიქით, ცდილობს გააკეთოს ყველაფერი, რაც ჯერ კიდევ რჩება მისი შესაძლებლობების ფარგლებში და გამოსავალი მონახოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შეხედულებები აქვთ და სხვადასხვაგვარად იქცევიან, მათ ერთნაირად სჯიან — ორივეს გახდას აიძულებენ, — ნათქვამია თეატრის მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

ცფ,ფყრჳპჭრდბპბნჭ,ბ5

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8 [J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# ბარსელონასთვის ჩელსი ყველაზე უხერხული მეტოქეა

**ჩელსი-ბარსელონა 1:0**

1:0 დროგბა (45)

**ჩელსი**: ჩეხი, ივანოვიჩი, კეჰილი, ტერი, კოული, ლემპარდი, მიკელი, მეირელეში, მატა (კალუ 74), დროგბა, რამირესი (ბოსინგვა 88)

**ბარსელონა**: ვალდესი, ალვესი, პუიოლი, მასკერანო, ადრიანო, ბუსკეტსი, ჩავი (კუენკა 87), ინიესტა, მესი, სანჩესი (პედრო 66), ფაბრეგასი (ტიაგო 78)

„ჩელსისა" და „ბარსელონას" ურთიერთშეხვედრებში კატალონიელებს ის უპირატესობა არ ჰქონდათ, რაც სხვა გუნდებთან გააჩნიათ. მეტის, 10 მატჩში მოგება-წაგებათა თანაბარი მაჩვენებელი გააჩნდათ, და კატალონიელები მხოლოდ იმითი სჯობდნენ მეტოქეს, რომ ერთი ბურთით მეტი ჰქონდათ გატანილი. ახლა ამ მაჩვენებლით ეს გუნდები გათანაბრდნენ, თუმცა, უკვე მეტი მოგება ლონდონელებს გააჩნიათ.

„სტემფორდ ბრიჯზე" გამართულ მატჩში სტუმარ გუნდს ძალზე დიდი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ლონდონელებმა კატალონიელებს შეახსენეს, რომ მათთვის უხერხული მეტოქე არის.

„ბარსამ" პირველი სახიფათო მომენტი მე-9 წუთზე შექმნა, როდესაც ინიესტას პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა სანჩესმა ჩეხს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ „ჩელსი" გოლისგან ხარიხამ იხსნა. მე-17 წუთზე, ლონდონელთა კართან კიდევ უფრო სახიფათო მომენტი შეიქმნა. საჯარიმოში შეჭრილმა მესიმ მცველთა ყურადღება მიიქცია, რის შემდეგ კარგ პოზიაციაში მყოფ ინიესტას მიართვა ბურთი, რომლის დარტყმა ჩეხმა მოიგერია, ხოლო დამატებაზე უმეთვალყურეოდ დატოვებულმა ფაბრეგასმა ძალიან ცუდად დაარტყა. თუმცა, სესკის დარტყმის შემდეგ, ბურთი მეკარის საჯარიმო მოედანზე, ასევე უყურადღებოდ დატოვებული სანჩესისკენ წავიდა, მაგრამ ჩილელმა იგი ვერ გააჩერა.

28-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ, თავით სახიფათოდ მესი ურტყამდა, მაგრამ ლონდონელთა მეკარე კვლავ კარგად გაისარჯა. „ჩელსის" კართან მორიგი სახიფათო მომენტი მას შემდეგ შეიქმნა, რაც მოედნის ცენტრში მესიმ ბურთი მეტოქეს აართვა და საჯარიმომდე იარა, რის შემდეგაც ფაბრეგასს გადააწოდა, ჩეხთან პირისპირ დარჩენილმა ესპანელმა მეკარეს კი აჯობა, მაგრამ ეშლი კოულმა ივარგა და ბურთს კარის ხაზთან მიუსწრო.

„ჩელსიმ" პირველი რეალურად სახიფათო მომენტი პირველი ტაიმის დამატებულ წუთზე შექმნა და იგი გოლადაც აქცია. ლონდონელთა საგოლე შეტევა მას შემდეგ დაიწყო, რაც მოედნის ცენტრში ლემპარდმა მესის ბურთი აართვა და მარცხენა ფლანგიდან მეტოქის კარისკენ დაძრულ რამირესს გადააწოდა. საჯარიმოში შესულ ბრაზილიელს დარტყმა კი შეეძლო, მაგრამ მან უკეთეს მდგომარეობაში მყოფი დროგბა,შენიშნა და კოტ დივუარელმა შემტევმა ანგარიში გახსნა.

„ჩელსიმ" მე-2 ტაიმში უფრო დიდი ძალებით დაიწია უკან. ლონდონელებმა მთელი ყურადღება კატალონიელთა მძაფრი შეტევების განეიტრალეიბაზე გადაიტანეს.

მეორე ტაიმში „ბარსამ" პირველი სახიფათო მომენტი 51-ე წუთზე შექმნა, როდესაც ადრიანოს სახიფათო დარტყმის შემდეგ კვლავ ჩეხმა ითამაშა კარგად. მალევე, ფაბრეგასის ბრწყინვალე პასით ჩეხთან პირისპირ გასულმა სანჩესმა მიზანს ცოტათი ააცილა. ამის შემდეგ კატალონიელებმა დასამახსოვრებელი დიდხანს ვერაფერი შექმნეს და მხოლოდ 87-ე წუთზე, მესის ჩაწოდებისა და პუიოლის თავურის შემდეგ, გუნდი ჩეხმა კიდევ ერთხელ იხსნა.

გეხსომებათ, 2 წლის წინათ, „სტემფორდ ბრიჯზე" ბარსამ ფინალში გამსვლელი გოლი ბოლო წუთზე გაიტანა და იგივე შანსი ახლაც მიეცა. 93-ე წუთზე, ადრიანოს დარტყმის შემდეგ, ბურთი ჩეხის კარის ძელს მოხვდა, ხოლო დამატებაზე ბუსკეტსმა ვერ ივარგა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — პეტერ ჩეხი.



პეტერ ჩეხი

ლონდონელთა მეკარემ ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. რომ არა მისი დამაჯერებელი თამაში, ლონდონელები ამ მატჩის მოგებას ვერ მოახერხებდნენ — ჩეხმა რამდენიმე დიდებული სეივი განახორციელა.

# ალექსანდრე ჩივაძე: „შეუძლებელია, კატალონიელთა ფეხბურთმა არ მოგხიბლოს"

***აზერბაიჯანულ მედიაში ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, ალექსანდრე ჩივაძის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ყოფილი საბჭოეთის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დამოუკიდებლობის დასაწყის პერიოდში წვრთნიდა, ამჟამად კი, საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცია. თუმცა ამ თანამდებობაზე სადებიუტო მატჩი ჯერ არ ჰქონია. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.***



**ალექსანდრე ჩივაძე:**

— ჩემპიონთა ლიგა ლამაზი და ბრწყინვალეა, თუმცა ბოლო 10 წლის განმავლობაში პროგნოზირებადი ტურნირი გახდა. წლიდან წლამდე მიმყვება შთაბეჭდილება, რომ ცნობილ კლასიკურ კინოფილმს ვუყურებ: მშვენიერი სცენარი, მსახიობთა ბრწყინვალე თამაში, შესანიშნავი სიუჟეტები...

***— მაგალითად, როგორც „მიმინო"?***

— „მიმინო", ან „არშინ მალ ალან". რამდენჯერაც არ უნდა ნახო, ფილმის ბოლო მაინც ცნობილია. დამეთანხმებით, ნებისმიერი ტურნირი ბევრს კარგავს, თუ ფინალში გასული გუნდების ვინაობა იცი. რაც არ უნდა ლამაზი გამოვიდეს ფინალი, მაინც ბევრს კარგავს.

***— თქვენთვის ცნობილია, ვინ გავა ფინალში?***

— ერთ-ერთი ფინალისტი ყველამ იცის. ეს „ბარსელონაა".

***— როგორ უნდა გადავწყვიტოთ ტურნირის იოლად პროგნოზირებადობის პრობლემა?***

— ეს რომ ვიცოდე, ალბათ, უეფას ხელმძღვანელობაში ამირჩევდნენ.

***— როგორ უყურებთ ლეგიონერებზე ლიმიტის შემოღების პერსპექტივას?***

— ეს ცოტა რთული თემაა და ნება მომეცით, ვრცლად გიპასუხოთ. ერთის მხრივ, ფეხბურთის დონე მთელ მსოფლიოში იზრდება. მაგალითად, აფრიკაში. გავიხსენოთ 1990 წელი — კამერუნმა მოქმედ ჩემპიონ არგენტინას მოუგო და ეს სუპერსენსაცია იყო. გავიდა 20 წელი და დღეს აფრიკელთა გამარჯვება არავის უკვირს. ძლიერი გუნდები ჰყავთ ეგვიპტეს, კამერუნს, განას, კოტ დივუარსა და ნიგერიას. მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელებს შორის არიან დიდიე დროგბა, სამუელ ეტოო, სალომონ კალუ, მიკაელ ესიენი, ძმები ტურეები. აზიის კონტინენტს უკვე აქვს მუნდიალის ბრინჯაოს მედალი, რომელიც სამხრეთ კორეამ მოიპოვა 2002 წელს. მოკლედ, ფეხბურთს ყველგან თამაშობენ, გეოგრაფია იზრდება. ევროპაშიც ბევრი ძლიერი ნაკრებია. თუმცა, ჩვენ ვხედავთ მედლის მეორე მხარესაც — ჩემპიონთა ლიგის მოგების რეალურ კანდიდატთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელია. „ბარსელონა" უდავოდ პირველია, თანაც, სავსებით სამართლიანად. შემდეგ მოდიან „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ჩელსი" და „მილანი". მათი წყობა თავად აირჩიეთ. „მანჩესტერმა" და „მილანმა" წელს ლიგაზე თამაში დაასრულეს, თუმცა ეს წელს. მთლიანობაში, მხოლოდ 5 გუნდი გამოდის და ეს ცოტაა. აქვე ვიტყვი, რომ ჩემპიონთა ლიგას მეტწილად იმ ქვეყნის გუნდი იგებდა, რომლის ნაკრები აღმავლობას განიცდიდა. ეს ლოგიკურიც იყო. გავიხსენოთ ძველი მადრიდის „რეალი" და იმავე დროს, ესპანეთის ნაკრები ალფრედო დი სტეფანოს მეთაურობით. ბობი ჩარლტონის „მანჩესტერი" მწვერვალზე ავიდა და ინგლისის ნაკრებიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. „ფერენცვაროში" ფლორიან ალბერტის მეთაურობით ძლიერი გახდა და უნგრეთის ნაკრებმაც უცებ დაიწყო აღმასვლა. იოჰან კრუიფის „აიაქსი", ფრანც ბეკენბაუერისა და გერდ მიულერის „ბაიერნი" იგივეს აკეთებდნენ. ჰოლანდიამ 1974 და 1978 წელს ფინალამდე მიაღწია, ხოლო გერმანია 1974-ში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ორი წლით ადრე კი ევროპაც მოიგო. შემიძლია გავაგრძელო, 80-იან წლებზე და 90-იანების დასაწისზე გადავიდე. მაგრამ ეს ხდებოდა ადრე. ახლა? ჰოლანდიის ნაკრები ფანტასტიკურ და მობილურ ფეხბურთს თამაშობს, ხოლო ამ ქვეყნის საკლუბო ფლაგმანი „აიაქსი" ბოლო წლების განმავლობაში პირველად მოხვდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, სადაც მესამე ადგილზე გასვლა და ევროპის ლიგაზე გადასვლა გაუხარდა. თანაც, „აიაქსში" თითქმის ვერ ნახავთ ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელებს. იგივე მაგალითი შემიძლია მოვიყვანო ფრანგული ფეხბურთის სახით. რამდენადაც მსრისხანეა საფრანგეთის ნაკრები, იმდენად არავინ ასახელებს მათ კლუბებს ჩემპიონთა ლიგის მოგების კანდიდატებს შორის. რატომ? იმიტომ, რომ ჰოლანდიელები და ფრანგები უცხოეთში თამაშობენ. აი, ინგლისს კი, რამდენი ხანია, ოთხი გუნდი გაჰყავს ლიგაზე, მაგრამ ნაკრები პირიქით არის — ინგლისის ნაკრებს თითქმის ნახევარი საუკუნეა, ტიტული არ აუღია. ვფიქრობ, უეფამ რამენაირად უნდა მოახერხოს გუნდების შანსების გათანაბრება.

***— როგორც ვხვდები, ევროპის საუკეთესო კლუბად „ბარსელონას" თვლით.***

— დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო კლუბად დავასახელებდი. შეუძლებელია, კატალონიელთა ფეხბურთმა არ მოგხიბლოს.

***— ცოტაც ქართულ და აზერბაიჯანულ ფეხბურთზე ვთქვათ.***

— ამ ორი ქვეყნის ფეხბურთი ყოველთვის ტექნიკური და ასე ვთქვათ, ცოცხალი იყო. ფლეგმატურობა ყოველთვის აკლდა. „დინამო" და „ნეფთჩი" ფორმაშიც რომ არ ყოფილიყვნენ, საბჭოეთის ნებისმიერ გუნდს ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდნენ.

***— სპეციალისტები თვლიდნენ, რომ საბჭოეთის ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპაში.***

— პრინციპში, გეთანხმებით. მართლაც, ბევრი დაახლოებით თანაბარი გუნდი იყო.

***— კარგი იქნებოდა, ამა თუ იმ ფორმატით, პოსტსაბჭოთა გუნდებს შორის ტურნირი ჩატარებულიყო — ამ მოსაზრებაზე რას იტყვით?***

— იცით, ეს მიმზიდველად ჟღერს. მითუმეტეს, თუ ქვეყნები ჩემპიონებს გამოიყვანენ, მაგრამ იდეა იდეად, პრაქტიკაში კი ეს როგორ გამოიყურება? პრინციპში, თანამეგობრობის თასი ტარდება კიდეც, მაგრამ რაც დრო გადის, პრესტიჟი ეცემა და ჩანს — „არა".

***— დაბოლოს, თქვენი აზრით, ახლო მომავალში აზერბაიჯანული და ქართული საკლუბო ფლაგმანების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრის პერსპექტივას როგორ უყურებთ?***

— გააჩნია, რას ვგულისხმობთ „ახლო მომავალში". საქართველოში და თქვენთანაც ყოველთვის იყვნენ ტალანტები. სწორი მიდგომის, სელექციონერებისა და სპეციალისტების ჭკვიანური მუშაობის შემთხვევაში ყველაფერი შესაძლებელია. რა თქმა უნდა, ერთ, ორ და სამ წელიწადში არა, მაგრამ შემდეგ ჩვენი გუნდების ჩემპიონთა ლიგაში შესვლა სულაც არაა ფანტასტიკის სფეროდან. უბრალოდ, საჭიროა რწმენა და რაც მთავარია, ბევრი მუშაობა.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ჩელსი-ბარსელონა ... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-კაენი ... 1:1
ტულუზა-ლიონი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელიე | 32 | 20 | 6 | 6 | 59:31 | 66 |
| 2.პსჟ | 32 | 18 | 10 | 4 | 57:34 | 64 |
| 3.ლილი | 32 | 16 | 11 | 5 | 60:36 | 59 |
| 4.ლიონი | 32 | 16 | 5 | 11 | 49:41 | 53 |
| 5.ტულუზა | 32 | 15 | 8 | 9 | 35:28 | 53 |
| 6.რენი | 32 | 14 | 9 | 9 | 44:36 | 51 |
| 7.სენტ ეტიენი | 32 | 14 | 8 | 10 | 40:36 | 50 |
| 8.ბორდო | 32 | 10 | 13 | 9 | 38:36 | 43 |
| 9.ევიანი | 32 | 11 | 9 | 12 | 46:46 | 42 |
| 10.მარსელი | 32 | 10 | 11 | 11 | 39:36 | 41 |
| 11.ნანსი | 32 | 10 | 10 | 12 | 33:39 | 40 |
| 12.ვალანსიენი | 32 | 10 | 7 | 15 | 31:39 | 37 |
| 13.ლორიენი | 32 | 8 | 11 | 13 | 30:41 | 35 |
| 14.ნიცა | 32 | 8 | 10 | 14 | 33:39 | 34 |
| 15.კაენი | 32 | 8 | 10 | 14 | 34:45 | 34 |
| 16.დიჟონი | 32 | 9 | 7 | 16 | 37:52 | 34 |
| 17.ბრესტი | 32 | 6 | 15 | 11 | 28:32 | 33 |
| 18.სოშო | 32 | 8 | 9 | 15 | 33:48 | 33 |
| 19.აიაჩო | 32 | 7 | 12 | 13 | 33:54 | 33 |
| 20.ოსერი | 32 | 5 | 13 | 14 | 37:47 | 28 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ატრომიტოსი ... 0:0
ასტერასი-პანათინაიკოსი ... 0:2
კერკირა-ოფი ... 4:1
პანეთოლიკოსი-არისი ... 5:1
პანიონიოსი-ქსანთი ... 1:1
პაოკი-დოჰა ... 2:0
იანინა-ოლიმპიაკოსი ... 0:4
ერგოტელისი-ლევადიაკოსი ... 0:1

**ჩეხეთი. თასი**

იაბლონეცი-სპარტა ... 2:3

**დანია. თასი**

კოპენჰაგენი-სონდერიისკე ... 1:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ლახტი-ჰონკა ... 2:1

**აშშ. მლს**

დ.ს.იუნაიტედი-მონრეალი ... 1:1
ვანკუვერი-კანზასი ... 1:3

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-მილუოკი ... 121:112
კლივლენდი-ფილადელფია ... 87:103
შარლოტი-ჩიკაგო ... 68:100
ატლანტა-დეტროიტი ... 116:84
ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია
მაიამი-ტორონტო ... 96:72
ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი ... 95:104
ბოსტონი-ორლანდო ... 102:98
მემფისი-ნიუ ორლეანი ... 103:91
დალასი-ჰიუსტონი ... 117:110
დენვერი-კლიპერსი ... 98:104
პორტლენდი-იუტა ... 91:112
საკრამენტო-სან ანტონიო ... 102:127
ფინიქსი-ოკლაჰომა ... 97:109
გოლდენ სტეიტი-ლეიკერსი ... 87:99

**წყალბურთი**

**ოთ-2012. კვალიფიკაცია**

**ქალები**

საბერძნეთი-ყაზახეთი ... 16:8
კანადა-ბრაზილია ... 11:4
რუსეთი-ესპანეთი ... 12:11
იტალია-უნგრეთი ... 11:9

**ჩოგბურთი**

**ატპ. მონტე კარლო. თიხა**

ფონინი-ჰაასე ... 4:6;4:6
ფერერი-ბელუჩი ... 3:6;2:6
ბერდიხი-ნიშიკორი ... 2:6;6:2;6:4
მიურეი-ბენეტო ... 7:5;6:0

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი ოფი 4 მოგებამდე**

ოტავა-რეიანჯერსი ... 3:2(ოტ)
სერიის ანგარიში ... 2:2
ფილადელფია-პიტსბურგი ... 3:10
სერიის ანგარიში ... 1:3
ლოს ანჯელესი-ვანკუვერი ... 1:3
სერიის ანგარიში ... 3:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ზესტაფონის მეხუთე და დილას სადებიუტო ფინალი

**დილა — გაგრა 0:1**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი**

**0:1 ჯერემია (90)**

**დილა**: სკენდერი, მეგრელიშვილი, ინწკირველი, სალუქვაძე, ალადაშვილი, ბეჭვაია, შ.კაშია (ნ.ნოზაძე 76), კახელიშვილი, გურული (ხოჯავა 64), ახალკაცი (გოგინაშვილი 88), ვაწაძე

**გაგრა**: ბეგაშვილი, ჯგერენაია, ნარმანია, გიორგი ტყეშელაშვილი, ხუციძე, ჭკუასელი (ყიფიანი 66), ნ.ჯიშკარიანი, ყურულაშვილი (კვანტალიანი 75), სარდალიშვილი, ზვიადაძე (ხოჯაშვილი 46), ჯერემია

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში „დილას" პირველი ტიტულის მოგების შანსი გაუჩნდა. საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალში გორელებმა ნახევარფინალში ორი მატჩის ჯამში მისი შარშანდელი გამარჯვებული „გაგრა" დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ.

თბილისში პირველი მატჩის მოგების შემდეგ, „დილას" საქმე თითქოს მოლეული ჰქონდა, მაგრამ მაინც გვარიანი ოფლის ღვრა მოუწიათ.

„გაგრამ" ღირსეულად ითამაშა და ბოლო წუთებში მასპინძლები გვარიანად ანერვიულა. ზვიად ჯელაძის შეგირდებმა გოლი მანამდეც გაიტანეს, თუმცა მსაჯმა ის სრულიად უსამართლოდ გააუქმა.

არადა, მატჩის დებიუტი გორელების იყო და მოპოვებული ინიციატივით რომ ესარგებლათ, უფრო მშვიდად ითამაშებდნენ. გოლის გატანის შანსი სამჯერ მიეცა ვაწაძეს, მაგრამ ვერ გამოიყენა. ამას გაგრელთა შეტევაც მოჰყვა და ჯონ ჯერემიას შეეძლო გატანა — მახლვილი კუთხიდან ააცილა. შანსი ჰქონდა სანდრო გურულსაც, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

მეორე ტაიმის დასაწყისი ბევრი არაფრით გამორჩეული იყო, ყველაფერი ბოლო წუთებში დაიძაბა.

ლევან ყიფიანმა მხრით დაუგდო ბურთი მიხეილ სარდალიშვილს, რომლის დარტყმული ეფექტური და რაც მთავარი ზუსტი აღმოჩნდა. თუმცა, ვიდრე ის ბურთს შეეხებოდა მსაჯმა ყიფიანზე ხელით თამაში დააფიქსირა. თუმცა, ჩვენი აზრით დარღვევას არ ყოფილა.

90-ე წუთზე, ნუგზარ ხოჯაშვილმა მარცხნიდან კუთხური ჩამოაწოდა, შალვა კვანტალიანმა ბურთს თავით მიმართულება შეუცვალა, ხოლო ჯერემიამ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა, მაგრამ მეორე გოლისთვის დრო აღარ დარჩა და „დილა" ფინალში მეტოქის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წყალობით გავიდა.

**მატჩის შემდეგ:**

**ზვიად ჯელაძე:**

— ღირსეულად ვითამაშეთ და გავიმარჯვეთ. ორივე გუნდის მხრიდან უკომპრომისო ბრძოლა იყო. გამოცდილება და იღბალი არ გვეყო. მიხარია, რომ მოვიგეთ, რადგან დიდი ხანია არ მოგვიგია და ფსიქოლოგიურად წაგვადგება.

**თემურ შალამბერიძე:**

— ძალიან ძნელი თამაში გამოვიდა. ვცდილობდით პირველ თამაშში მოპოვებული უპირატესობა შეგვენარჩუნებინა. ასეა თუ ისე ბიჭებმა ამოცანას თავი გაართვეს. დასანანი გოლი გავუშვით და ცოტა ვინერვიულეთ. ბიჭები გადაღლილები იყვნენ, რადგან ყოველ 3-4 დღეში თამაში გვიწევს.

**მეტალურგი — ზესტაფონი 0:1**

**რუსთავი. ფოლადის სტადიონი**

**0:1 გორგიაშვილი (18)**

**მეტალურგი**: ბათიაშვილი, გ.გაბრაცხელია, დობროვოლსკი, ქვათარაძე (გ.მიქაბერიძე 76), ი.მაისურა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# იაროსლავ კაჩინსკი პრემიერს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვაში ადანაშაულებს



პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის ძმის იეროსლავ კაჩინსკის განცხადებით, სმოლენსკთან მომხდარი ავიაკატასტროფა, რომლის დროსაც ქვეყნის პრეზიდენტი და პოლონეთის მთავრობის სხვა მაღალჩინოსნები დაიღუპნენ, წინასწარ დაგეგმილი თავდასხმა იყო.

ამის შესახებ იეროსლავ კაჩინსკიმ ტელეკომპანია „ტევე-პე ინფოს" ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, ის იზიარებს ვერსიას, რომლის მიხედვითაც, თვითმფრინავის ბორტზე აფეთქება მოხდა.

მომხდარი ტრაგედიის არასათანადო გამოძიების გამო, იაროსლავ კაჩინსკი პოლონეთის პრემიერს დონალდ ტუსკს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ის მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვას უწყობს ხელს. მისი თქმით, ტუსკმა თავს უფლება მისცა, პუტინთან ერთად თამაშში ჩართულიყო, რომლისგან თავის დახსნა მას აღარ გამოუვა.

იაროსლავ კაჩინსკი (დ. 18 ივნისი 1949, ვარშავა, პოლონეთი), პოლონელი პოლიტიკოსი, 2006-2007 წლებში პოლონეთის პრემიერ-მინისტრი, დატოვა პოსტი მას შემდეგ, როცა მისი პარტია დამარცხდა 2007 წლის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# ცეკვის თეატრი მეტეხი" იუბილარია

*ეკა ირემაშვილი*

ცეკვის თეატრი „მეტეხი" წელს დაარსებიდან 35 წლის იუბილეს აღნიშნავს. 20 აპრილს თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით დიდ საკონცერტო დარბაზში ცეკვის თეატრის „მეტეხი" 35 წლის იუბილე და მისი დამფუძნებლის, დირექტორის და სამხატვრო ხელმძღვანელის გელოდი ფოცხიშვილის სასცენო მოღვაწეობის 45 და დაბადების 65 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართება. ამავე საღამოს საკონცერტო დარბაზის ფოიეში მოეწყობა ანსამბლს „მეტეხის" მიერ 35 წლის მანძილზე განვლილი შემოქმედებითი გზის ამსახველი ფოტო-გამოფენა.

– ცეკვის თეატრი „მეტეხი" 35 წელია უანგაროდ ემსახურება ქართულ კულტურას, უამრავი ტურნეებით აქვს შემოვლილი მთელი მსოფლიო და პოპულარიზაციას უწევს ქართულ პლასტიკას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, რასაც მსოფლიო პრესის გამოძახილი ნათლად ასახავს. ნაციონალური ბალეტის თეატრი „მეტეხი" მუდმივად არის ეროვნული ცეკვების დაგროვების, შესწავლისა და მათი თანამედროვე მიმართულებით განვითარების, ახალი ქორეოგრაფიული მინიატურების, ნოველების და ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოს წარმომსახავი წარმოდგენების შექმნის პროცესში, – ნათქვამია მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

„მეტეხის" დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი ქორეოგრაფი ღირსების ორდენის კავალერი გელოდი ფოცხიშვილი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ანსამბლი 35 წლის წინ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან. მოგვიანებით ის გარდაიქმნა ეროვნულ ბალეტად და ეროვნულ-ავანგარდული ცეკვის თეატრად, დღეისათვის კი ის ფუნქციონირებს როგორც საქართველოს ნაციონალური ბალეტის თეატრი „მეტეხი". ამჟამად სცენაზე გამოდის მოცეკვავეთა მეოთხე თაობა. თეატრის წამყვანი სოლისტები და ქორეოგრაფები არიან გელოდი ფოცხიშვილის ვაჟები – დავით და გელა ფოცხიშვილები.

**გელოდი ფოცხიშვილი, ანსამბლის ხელმძღვანელი:**

– ამ თეატრში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ცეკვაში ახალ აზროვნებას. ტრადიციული ქართული ცეკვების საფუძველზე აქ იქმნება ახალი თანამედროვე ეროვნული ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშები. ასეთი მიმართულებით განვითარებული ქართული საცეკვაო ხელოვნება მომავალში სათანადო ადგილს დაიკავებს მსოფლიო ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში. ამასთან ერთად, თეატრი ინარჩუნებს ტრადიციულ ქორეოგრაფიულ ნიმუშებს, მაგრამ უკვე ახალი მუსიკალური ინტერპრეტაციით. ცეკვები დადგმულია ისეთი ქართველი კომპოზიტორების კლასიკურ და თანამედროვე მუსიკაზე, როგორებიც არიან ზაქარია ფალიაშვილი, არჩილ კერესელიძე, სანდრო მირიანაშვილი, რევაზ ლაღიძე, ჯანსუღ კახიძე, გიორგი ცაბაძე, ვაჟა აზარაშვილი, იოსებ კეჭაყმაძე, ავთო შარვაძე. რაც შეეხება მუსიკის შესრულებას, ის ჟღერს ახალი ინტერპრეტაციით ეროვნული საკრავების, სიმფონიური ორკესტრისა და თანამედროვე მუსიკალური თანხლებით. მთელი კონცერტი მიმდინარეობს ფონოგრამის თანხლებით, რაც იძლევა მრავალფეროვანი მუსიკალური გაფორმების შესაძლებლობას.

***– როგორია თქვენი საგასტროლო კალენდარი?***

– ამ 35 წლის მანძილზე ნაციონალური ბალეტის თეატრმა გასტროლებით იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 1990 წლიდან თეატრი გამოდიოდა გერმანიაში, ავსტრიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, ეგვიპტეში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიაში, ინგლისში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, თურქეთსა და ისრაელში. თეატრის გასტროლებზე არსებობს მასმედიის მრავალი შესანიშნავი რეცენზია.

***– თუ გყავთ ახალი თაობა?***

– რა თქმა უნდა. ნაციონალური ბალეტის თეატრს გააჩნია ბავშთა ქორეოგრაფიული სტუდია „მეტეხი", რომელიც შედგება ორი ჯგუფისაგან – საკონცერტო და დაწყებითი სწავლების ჯგუფებისაგან, რომლის ხელმძღვანელები არიან დავით და გელა ფოცხიშვილები, პედაგოგი კი – მაია კიკნაძე. ამ სტუდიაში ბავშვები შეისწავლიან როგორც ქართულს, აგრეთვე კლასიკურ და მსოფლიო ხალხთა ცეკვების ნიმუშებს.

***– როგორია თქვენი ანსამბლის საკონცერტო პროგრამა?***

– წლების განმავლობაში ჩვენ საკმაოდ დიდი რეპერტუარი დაგვიგროვდა, ამიტომ „მეტეხის" კონცერტი შედგება ორი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია ეროვნული კლასიკური ქორეოგრაფიის ნიმუშები. მეორე განყოფილებას ეწოდება „თბილისური რაფსოდია". აქ წარმოდგენილია თანამედროვე სტილში გადაწყვეტილი ნოველები და მინიატურები, რომლებიც ასახავენ ძველი თბილისის ყოფა-ცხოვრებას. 2003 წლის 23 ნოემბრის ვარდების რევოლუციას ანსამბლმა მიუძღვნა სპეციალურად დადგმული ქორეოგრაფიული ნოველა, რომელსაც დაერქვა „უკდავნი". იდეის ავტორი მე გახლდით, პროექტის ავტორი – დავით ფოცხიშვილი, ხოლო ქორეოგრაფები – დავით და გელა ფოცხიშვილები, რომლებიც ამავე დროს ასრულებენ წამყვან პარტიებს ამ ნოველაში, რომელშიც დაკავებულია ანსამბლის მთელი დასი. ნოველა „უკდავნი" ჰარმონიულად შეერწყმა მთელ საკონცერტო პროგრამას, რომელშიც ასახულია ქართველი ერის სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

***– ვინ დგამთ თქვენთან ცეკვებს?***

– მთელი საკონცერტო პროგრამის სცენარი, რეჟისურა, ცეკვების დადგმა, შუქის დრამატურგია, მუსიკალური გაფორმება და კოსტიუმების მხატვრობა ჩემია. უკვე 35 წელია ამ ანსამბლს ვხელმძღვანელობ, წელს კი ჩემთვის ნამდვილად გამორჩეული წელია, რადგან სამმაგ იუბილეს ვზეიმობთ – „მეტეხის" 35 წლის იუბილეა, ხოლო ჩემთვის ორმაგად საპასუხისმგებლო, სასცენო მოღვაწეობის 45 და დაბადების 65 წლისთავს ვზეიმობ. სწორედ ამ თარიღებს მიეძღვნება კონცერტი, რომელიც 20 აპრილს დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება.

სპორტი

# ზესტაფონის მეხუთე და დილას სადებიუტო ფინალი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ძე, ს.თოდუა (ჯაფარიძე 46), თექთურმანიძე, გ.სეთურიძე, გავაშელიშვილი, გეწაძე (ტატანაშვილი 57), სიხარულიძე

**ზესტაფონი**: რ.კვასხვაძე, გ.ონიანი, მ.კობახიძე, ღონღაძე, ელიავა, გორგიაშვილი, შარიქაძე, აფციაური (რაჟამაშვილი 84), დ.მუჯირი (ბაბუნაშვილი 64), დვალი, წინამძღვრიშვილი (ოვონიკოკო 67)

საშინაო მატჩში ფრედ თამაშის შემდეგ, „ზესტაფონმა" თითქოს გაირთულა საქმე, მაგრამ ეს რუსთავში გამოასწორა და 8-წლიანი არსებობის მანძილზე მეხუთედ გავიდა ფინალში.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და როინ კვასხვაძეს ბლომად საქმეც გაუჩნდა. კარის ჩარჩოში პირველად ირაკლი მაისურაძემ მე-3 წუთზე დაარტყა, ტუმცა – სუსტად და მეკარეს ბურთის დაუფლება არ გასჭირვებია. ხუთიოდე წუთში ისევ მაისურაძემ „გაისროლა", კვასხვაძემ ბურთი ვერ შეიმაგრა, მაგრამ ირაკლი სიხარულიძეს დამატება არ აცალეს – მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს. მაისურაძემ მესამედაც დაძაბა სიტუაცია, როდესაც მის ჩაწოდებულ ბურთს სიხარულიძემ დაუხვედრა თავი – ბურთი მცირედით ასცდა „ზესტაფონის" კარს.

ზესტაფონელთა პირველივე მომენტი საგოლე იყო. მე-18 წუთზე თორნიკე აფციაურმა ბურთი მაღალი ტრაექტორიით გაუშვა საჯარიმოსკენ, სადაც გივი კვარაცხელიამ და ზურაბ ბათიაშვილმა შეუთანხმებლად ითამაშეს, ბურთი თორნიკე გორგიაშვილმა მოიგდო და ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია – 0:1.

24-ე წუთზე, ჯაბა დვალს მიეცა თავის გამოჩენის შანსი, როცა გორგიაშვილის პასის შემდეგ სახიფათოდ ურტყამდა – ბათიაშვილმა რეაგირება მოასწრო და ბურთი კუთხურზე ფეხით მოიგერია.

სიხარულის და რევაზ გეწაძის დარტყმების შემდეგ რუსთაველებმაც შექმნეს მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები, რასაც იმერელთა უფრო სახიფათო შეტევები მოჰყვა. დვალის პასით, დავით მუჯირი ბათიაშვილის პირისპირ აღმოჩნდა, რომელიც საჯარიმოში შევიდა და ძლიერად დაარტყა – ბურთი კარს ასცდა.

მეორე ტაიმი ათიოდე წუთის დაწყებული იყო, რომ კობა ჟორჟიკაშვილი 2 თავდამსხმელით თამაშზე გადავიდა – ნახევარმცველი გეწაძე ტატანაშვილმა ჩაანაცვლა, მაგრამ ხეირი ვერ ამან მოუტანა. მეორე ტაიმში „ზესტაფონი" თავს კარგად იცავდა და რუსთაველელებმაც მხოლო 2-3 ნახევრადმომენტი თუ შექმნეს. ბოლოში მასპინძლები პენალტსაც ითხოვდნენ, მაგრამ არბიტრი შეუვალი აღმოჩნდა და სამართლიანადაც.

**მატჩის შემდეგ:**

**კობა ჟორჟიკაშვილი, მეტალურგის მთავარი მწვრთნელი:**

– რთული თამაში იყო. იგი ჩვენი უპირატესობით დაიწყო და ასეც მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, პირველი ტაიმის შუა მონაკვეთში დასანანი გოლი გავუშვით, როცა ჩვეულებრივ სათამაშო სიტუაციაში, ცენტრალური მცველი და მეკარე შეცდა. ამის შემდეგ კარდინალურად შეიცვალა სიტუაცია. თუ მანამდე, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად „ზესტაფონს" ჰქონდა გოლი გასატანი, ჩვენს წინაშე დადგა ასეთი ამოცანა. მეორე ტაიმში მივმართეთ კიდეც ცვლილებებს, სათამაშო ინიციატივა ჩვენს ხელში იყო, მაგრამ სამწუხაროდ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. რაც შეეხება, მსაჯის მიერ არდანიშნულ პენალტს, უკვე მერამდენე თამაშია მსაჯები ჩვენს საზიანოდ ცდებიან. შეგიძლიათ განმეორებით იხილოთ, მცველი ორი გაშლილი ხელით როგორ იგერიებს ბურთს. ასეთ მოწინააღმდეგესთან თამაშებში, თითო დეტალი მნიშვნელოვანია და დარწმუნებული ვარ, აშკარა 11-მეტრიანი იყო, ისევე როგორც თბილისის „დინამოსთან" არ დანიშნა გიორგი ვადაჭკორიამ. ვთვლი, რომ ასეთ თამაშებში ცოტა უფრო მტკიცე ხასიათის მსაჯები უნდა ინიშნებოდნენ.

**გიორგი ჭიაბრიშვილი, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:**

– როგორც ჩანს, მე და ჩემი კოლეგა სხვადასხვა თამაშს ვესწრებოდით. 10 მომენტი რომ გვქონდა მოწინააღმდეგის კართან და მხოლოდ 1 ჰქონდა „მეტალურგს", ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ მეტოქეს ჰქონდა უპირატესობა. პირველი თამაში ისეთი შედეგით დამთავრდა, რომ მეტოქეზე უარეს სიტუაციაში ვიყავით – აუცილებლად გოლი გვქონდა გასატანი, ან მოგება გვჭირდებოდა. ამ მატჩში ფეხბურთელების ძალიან დიდი მონდომება და შრომა ჩაიდო. მიმაჩნია, რომ რაც დავგეგმეთ, ნაწილობრივ ყველაფერი გამოვიდა და ყველაფერი შედეგზე აისახა. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგი თამაში იყო, მაგრამ შედეგი სასურველი მივიღეთ. ძალიან მიხარია, რომ ჩვენ გავედით თასის ფინალში, სადაც ყველაფერს ვიღონებთ, რომ თასი ავიღოთ.

დასაწყისი მე-8 გვერდზე

# გაზეთი ივერია" 135 წლისაა

ხალხისა და ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების მთავარ და საარსებო პრობლემებს, მათი გადაჭრის გზებს. „ივერიაში" დიდი ადგილი ეთმობოდა სახალხო განათლების საკითხებს, სკოლას, მასწავლებლებს, მთავრობის პოლიტიკას განათლების დარგში და აღზრდის სისტემას. ამ გამოცემამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარების საქმეში. გამოცემასთან თანამშრომლობდნენ აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი. გაზეთის კორესპონდენტები კი იყვნენ ალექსანდრე ყიფშიძე, ალექსანდრე ნანეიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იაკობ მანსვეტაშვილი. გაზეთი მდიდარ ინფორმაციას აძლევდა მკითხველს თანამედროვე საზღვარგარეთის ლიტერატურაზე, თავს უყრიდა და აქვეყნებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, – განმარტა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა.



ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული გაზეთი „ივერია" 1906 წლის 27 აგვისტოს დაიხურა. იგი აღდგენილ იქნა 1989 წლის 20 თებერვალს ზურაბ ჭავჭავაძის მიერ და გამოდიოდა პერიოდულად ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთის სახით 1997 წლამდე. მის სარედაქციო კოლეგიაში გაერთიანებული იყვნენ კახაბერ კახაძე, რევაზ კვირიკია, გელა ნიკოლაიშვილი, დავით ტაკიძე, ლადი ღვალაძე და თამარ ჩხეიძე.

გასული წილს 2 აგვისტოს წმინდა ილია მართლის ხსენების დღეს ილია ჭავჭავაძის „ივერიას" პირველი ნომრის რეპრინტი გამოვიდა, რომელსაც თან ახლდა დაპირება – გამოიცემა „ივერიის" ყველა ნომერი, 1877 წლიდან 1906 წლამდე, დედნის სახით და ფორმით, სტილისა და კორექტურის დაცვით, გაზეთად თუ ჟურნალად, ერთი სიტყვით, სრული ანალოგი. ეს პროექტი, რომლის სახელწოდებაა „ივერია – წარსულში დაბრუნება მომავლის გადასარჩენად", პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით საგამომცემლო სახლმა „ქართული ელიტა" განახორციელა. როგორც მისი გამომცემელი ნუგზარ ჭიაბერაშვილი განმარტავდა, ილიას ეპოქის „ივერიიდან" მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ქართველი ხალხი პარალელებს უკეთ გაავლებს, ადვილად გააანალიზებს და უკეთ მიხვდება, რა არის დღეს საკეთებელი.



## hჳჯცღჯჳლბ ,

**შვეულად**: 1. მექსიკური არაყი; 2. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 3. ტბა აღმოსავლეთ საქართველოში; 4. ადგილმდებარეობის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 8. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 9. ხილის წვენების პიურესაგან მომზადებული ტკბილეული; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 12. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 14. მტაცებელი ფრინველი; 12. ფრანგული საავტომობილო კონცერნი; 17. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 19. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. მთავარი მოედანი მილანში.

**თარაზულად**: 5. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 6. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 7. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 10. მაღალმთიანი კლიმატური კურორტი აჭარაში; 13. ხარებთან ორთაბრძოლა; 15. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 18. სალი კლდე; 20. დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 24. ოპერა „აიდა"-ს პერსონაჟი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეხბ hჳჯცღჯჳლთ,Bჩ გფცეც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დუპლეტი; 2. აკრი; 3. ლუვრი; 4. ორბიტა; 6. მუკუზანი; 9. ღვინიო; 13. ტრამალი; 14. სადახლო; 15. კაბურა; 17. მედეა; 18. აჭარა; 20. მესი.

**თარაზულად:** 1. დვალეთი; 5. დრამი; 7. დუმფარა; 8. პარმალი; 10. რაგბი; 12. ჰაიატი; 16. ბანანი; 17. მუყაო; 19. ალჩუ; 21. გუჯარი; 22. თექურა 23. მარიცა; 24. ბონუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კატერი; 2. ოპერეტა; 3. კაშაგანი; 4. შიფონერი; 8. ბაქშტაინი; 9. ტრიპიტაკა; 11. ფსირცხა; 12. რომა; 14. ინდი; 16. ანტურაჟი; 17. ტაკელაჟი; 19. მულაჟი; 21. კიური.

**თარაზულად:** 5. ლანგუსტი; 6. დემენცია; 7. ფარვატერი; 10. მანათი; 13. ტრიერი; 15 ამირანი; 18. ენეიდა; 20. მაკაკა; 22. პალესტინა; 23. აჟიოტაჟი; 24. პრესტიჟი.

# სირია სამშვიდობო შეთანხმებას არ ასრულებს



გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი აცხადებს, რომ სირია მშვიდობიანი გეგმის შესრულების საკითხში თავის მოვალეობებს არ ასრულებს. მისივე თქმით, მას ქალაქებიდან არც ჯავშანტექნიკა და არც ჯარი არ გაუყვანია.

ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი" ავრცელებს.

ამის შესახებ პან გი მუნმა წერილი გაეროს უშიშროების საბჭოს მისწერა, რომელშიც აღნიშნავს, რომ საბრძოლო მოქმედებების ინტენსიურობა შესამჩნევად შემცირდა 12 აპრილს ანუ მაშინ, როდესაც შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ძალაში შევიდა. თუმცა ბოლო დღეების განმავლობაში გაეროს გენერალური მდივნის აზრით, შეიარაღებული თავდასხმები და დაცხრილვები კვლავ გახშირდა. პან გი მუნი აცხადებს, რომ „შეიარაღებული ძალადობის შეწყვეტა მის ყველა ფორმაში არ მომხდარა".

მან ასევე აღნიშნა, რომ სირიის ხელისუფლებამ კოფი ანანის სამშვიდობო გეგმის არც სხვა პუნქტები შეასრულა. წერილში აღნიშნულია, რომ გაეროს დამკვირვებლები ქალაქ ჰომსში არ შეუშვეს, რომელიც არმიის მოქმედებებისგან ყველაზე მეტად დაზარალდა.

მიუხედავად ამ მძიმე სიტუაციისა, გაეროს გენერალური მდივანი მაინც გამოთქვამს იმედს, რომ „შესაძლებლობა პროგრესისათვის ჯერ კიდევ არსებობს".

ამავე დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სირიაში 300 სამხედრო დამკვირვებელს გაგზავნის. ამის შესახებაც გაერო-ს გენერალური მდივანი პან გი მუნი უშიშროების საბჭოსთვის გაგზავნილ წერილში წერს.

მისივე განმარტებით, სირიაში შეტაკებები გრძელდება მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარემ ცეცხლის შეწყვეტის პირობა დადო.

რაც შეეხება დამკვირვებლებს, პან გი მუნის განმარტებით, 300 სამხედრო მოსამსახურე ქვეყანაში სიტუაციის მონიტორინგს განახორციელებს.

ამ ფონზე, საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თვლის, რომ რუსეთისა და ჩინეთის პოზიცია სირიაში სიტუაციის მოგვარების საკითხს „აჭიანურებს". განცხადება პრეზიდენტმა სარკოზიმ დღეს პარიზში, ფრანგული რადიოსადგურის ეთერში „სირიის მეგობარი" ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან შეხვედრაზე გააკეთა. მისი თქმით, რუსეთი და ჩინეთი იზოლირებული არიან, მაშინ, როდესაც დასავლეთისა და არაბეთის ქვეყნების ერთიანი ოპოზიციის წევრები მზად არიან იმ მიმართულებით წავიდნენ, რომელი მხარეც სირიისთვის იქნება საჭირო.

რუსეთის ოფიციალური პოზიცია „სირიის მეგობარი" ქვეყნების შეხვედრებთან დაკავშირებით არ შეცვლილა. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ალექსანდრ ლუკაშევიჩი აღნიშნავს, პარიზის ამ შეხვედრას ცალმხრივი ხასიათი აქვს, რადგან წინა შეხვედრის მსგავსად, მას სირიის წარმომადგენლები დღესაც არ ესწრებიან.

# ირანის არმია ქვეყნის დასაცავად მზადაა

ირანის არმია მზადაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და რეგიონის სახელმწიფოთა დახმარებით რეგიონალური უშიშროების მისაღწევად. ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა განაცხადა.

მაჰმუდ აჰმადინეჯადმა სპარსეთის ყურის რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ უშიშროება დამყარებული გახდება რეგიონის მთავრობათა და ხალხების ერთობლივი ძალისხმევით, რომ ამ მიმართულებით უცხო ძალთა ყოფნას უთანხმოების და დაძაბულობის გარდა სხვა შედეგი არ მოჰყვება.

– ირანის არმია ირანის მიწა-წყალზე მტრის ნებისმიერ შესაძლო აგრესიასა და თავდასხმას საკადრის პასუხს გასცემს, – განაცხადა ირანის პრეზიდენტმა. თავის მხრივ, ირანის პარლამენტის თავმჯდომარემ ალი ლარიჯანმა განაცხადა, რომ ირანი ყოველთვის მხარს უჭერდა რეგიონში წინააღმდეგობის მოძრობას.

მისი თქმით, ირანის მხარდაჭერა ლიბანის, პალესტინისა და სირიის სახალხო მოძრაობებისადმი დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში კვლავ გაგრძელდება.

ალი ლარიჯანმა მეტად დაძაბული უწოდა სირიაში შექმნილ ვითარებას და რეგიონის ქვეყნების მთავრობებს პრობლემის მოგვარებაში მეტი ძალისხმევისკენ მოუწოდა.

აქვე ცნობისთვის გთავაზობთ ირანის შეიარაღებულ ძალებზე ბოლო მონაცემებს. მოსახლეობა72,439 000. სამხედრო ბიუჯეტი 4,2 მილიარდი დოლარი (2003). რეგულარული არმია 540 000 ჯარისკაცი. რეზერვი 350 000.

გასამხედროებული ფორმირებები: „ბასიჯი" (სახალხო ლაშქარი) 300 000. შინაგან საქმეთა სამინისტრო – 40 000. კომპლექტაცია: გამოძახებითი. სამხედრო სამსახურის ვადა 18 თვე. სამობილიზაციო რეზერვი 17,100 000 ადამიანი.

სახმელეთო არმია: 350 000. 4 საკორპუსო შტაბი, 12 დივიზია (4 ჯავშანსატანკო, 6 ქვეითთა, 2 კომანდოსი), ასევე სარეზერვო ნაწილები, სადესანტო, სატანკო, ქვეითთა, კომანდოსი), 5 საარტილერიო ჯგუფი.

სახმელეთო არმიის კორპუსი „ისლამური რევოლუციის დარაჯები": 100 000, 16-20 დივიზია (ამათგან 10 ქვეითთა, 2 ჯავშანსატანკო, გამნალმველთა და მექანიზატორთა 5), 15-20 ცალკეული ბრიგადა (სარაკეტო, საზენიტო სარაკეტო, საპარაშუტო, კავშირგაბმულობის, საინჟინრო-გამნალმველთა, ქიმიური თავდაცვის, ქვეითთა, ჯავშანსატანკო, 6 საარტილერიო ჯგუფი, სასაზღვრო ნაწილები და იდეოლოგიური დამუშავების ჯგუფები.

სახმელეთო არმიის შეიარაღება: 17 ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების გამშვები დანადგარი , 30 ტაქტიკური რაკეტების გამშვები დანადგარი, 1 655 ტანკი; 80 მსუბუქი ტანკი, 2 085 ბუქსირებადი ქვემეხი, 310 თვითმავალი ჰაუბიცა, 75 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების გამშვები დანადგარი, 1 700 საზენიტო საარტილერიო დანადგარი, 17 თვითმფრინავი, 195 შვეულმფრენი.

სამხედრო საჰაერო ძალები: 52 000. (ამათგან 15 000 ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა), 306 საბრძოლო თვითმფრინავი. სამხედრო საზღვაო ძალები: 38 000. 90 ხომალდსაწინააღმდეგო არტილერია, ავიაცია: 2 000; საზღვაო ქვეითი: 2,600, 3 ბრიგადა. სარაკეტო ჯარები: 4 ბრიგადა.

# თურქეთში კლონირებული ცხვარი 5 წლის ასაკში მოკვდა

თურქეთში კლონირებული ცხვარი ოიალი 5 წლის ასაკში მოკვდა. სტამბულის უნივერსიტეტის პროფესორის, სემა ბილკერის თქმით, ცხვარი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა და ეს ფაქტი კლონირების უარყოფით შედეგებთან დაკავშირებული არ არის.

თურქეთში კლონირების ექსპერიმენტი 2005 წელს დაიწყო, 2007 წელს უკვე პირველი კლონირებული ცხვარი ოიალიც გაჩნდა.

როგორც ცნობილია, მსოფლიოში პირველი კლონირებული ცხვარი დოლი 6,5 წლის ასაკში მოკვდა. როგორც წესი, ცხვრები 11-12 წელი ცოცხლობენ.

რაც შეეხება დოლის, მას ფილტვების ინფექციამ ბოლო მოუღო. რასაკვირველია, ამ ფაქტის მნიშვნელობა განისაზღვრება არა დოლის დაღუპვით, არამედ მისი დაბადებით: 1997 წელს დოლი დაიბადა კლონირების შედეგად – იყო იმ ცხვრის ზუსტი გენეტიკური ასლი, რომლის დნ მჟავა გამოიყენეს კლონირებისთვის.

ძუძუმწოვრების ჩვეულებრივი (სქესობრივი) გამრავლებისას შთამომავლობა არასდროს არ არის თავისი მშობლების ზუსტი ასლი.

დასაწყისში აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსაზღვრება: უჯრედი არის ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ერთეული, რომელიც ორგანიზმის ყველა თვისების განმსაზღვრელ ინფორმაციას ატარებს. ეს დებულება ვრცელდება როგორც ერთუჯრედიან ორგანიზმებზე, ისე მრავალუჯრედიანებზეც, რომელთა შემადგენლობაში შესაძლოა არსებობდეს რამდენიმე ასეულიდან (102) რამდენიმე ათეულ მილიარდამდე (1014) უჯრედი. დნ მჟავა ანუ დნმ ორგანიზმის გენეტიკური მასალაა, რომელიც შეიცავს ყველა ნიშან-თვისების განმსაზღვრელ კოდს.

ნებისმიერი ორგანიზმის თითოეულ უჯრედში არსებული დნმ ამ ორგანიზმის ზრდისა და განვითარების სრულ გენეტიკურ კოდს შეიცავს. ორგანიზმების მრავალფეროვნება სწორედ მათი დნმ-ის (გენეტიკური კოდების) განსხვავებებით განისაზღვრება.

ბირთვი უჯრედის ნაწილია, რომელიც დნ მჟავას შეიცავს, ციტოპლაზმა კი – ბირთვის გარეთ მყოფი უჯრედის შიგთავსი.

კლონები ისეთი ორგანიზმებია, რომელთა დნმ ერთმანეთის იდენტურია. კლონირება კი ასეთი ორგანიზმების მიღების პროცესია. ზოგიერთ შემთხვევაში კლონირება ასევე გამოიყენება გენეტიკური ინჟინერიის ერთ-ერთი მეთოდის აღსაწერად, როცა ხდება დნ მჟავის ერთი ფრაგმენტის მიერთება მეორესთან, ამ ფრაგმენტის სტაბილური შენარჩუნებისა და გამრავლების მიზნით.

კლონირების პერსპექტივები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

დოლის დაბადებას მოჰყვა კატის, ძაღლის, ბოცვრის, ღორისა და ძროხის ბირთვის ტრანსპლანტაციის წარმატებული ექსპერიმენტები. 2001 წელს კლონირებისთვის ასევე წარმატებით გამოიყენეს დაღუპული ცხოველის (გარეული ცხვრის – მუფლონის) უჯრედიც კი.

2003 წელს მოხდა ცხენისებრთა ოჯახის წარმომადგენლის პირველი კლონირება. კლონირებული იყო ჯორი, რაც ასევე ბუნებრივად სტერილური ცხოველის კლონირების პირველი შემთხვევაა. ამ ექსპერიმენტში, „დაბერებული" დნ მჟავის პრობლემის თავიდან ასაცილებლად, ბირთვი 45 დღის ასაკის ჩანასახიდან იყო მიღებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმინდასისხლიან/სადოღე ცხენებზე ცხოველთა კლონირების გავრცელების შესაძლებლობამ დიდი პროტესტი გამოიწვია: კლონირების ოპონენტები ამტკიცებდნენ, რომ ამ მეთოდის დანერგვა ძირს გამოუთხრიდა ცხენების სელექციის ხელოვნებას და დოლს იდენტური კლონების შეჯიბრებამდე დაამდაბლებდა. პრიმატების კლონირებას უდიდესი სამედიცინო მნიშვნელობა აქვს, მაგ., გენეტიკურად იდენტური მაიმუნების მისაღებად, რაც შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინის მისაღებად შესანიშნავი შენაძენი იქნებოდა. ჯერჯერობით ორი კლონირებული რეზუს-მაკაკას გენეტიკური მასალა ჩანასახის განვითარების ადრეულ ეტაპებზეა მიღებული. ზრდასრული ცხოველის უჯრედებიდან მიღებული ბირთვის ტრანსპლანტაცია ამ შემთხვევაშიც რთული პრობლემაა.

ბუნებრივია კითხვა, შესაძლო იქნება თუ არა ადამიანების კლონირება? ეთიკური საკითხების გარდა, რომელიც ასეთ შემთხვევაში თავისთავად წამოიჭრება, არსებობს მეთოდოლოგიური პრობლემებიც: თვით იენ უილმუთი აღიარებს, რომ, დოლის წარმატებული მაგალითის გარდა, არსებობს კლონირების არაერთი დამაფიქრებელი შედეგი (მაგ. დოლის დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ კლონირებული ცხვარი, რომელიც არასრულყოფილად განვითარებული ფილტვებით დაიბადა; ხშირ შემთხვევაში კლონირების გზით დაბადებულ ცხოველებს არაბუნებრივად დიდი ზომის შინაგანი ორგანოები ახასიათებთ და ა.შ.).



სწორედ ასეთი შემთხვევების გამო მეცნიერთა უმრავლესობას დაუშვებლად მიაჩნია ადამიანის კლონირების დაწყება არსებული თეორიული ცოდნისა თუ ექსპერიმენტული მეთოდოლოგიის საფუძველზე. ჯერ კიდევ 2001 წელს ამერიკის ეროვნულ აკადემიაში ამ თემაზე ჩატარებული კონფერენციის თითქმის ყველა მონაწილემ აღიარა, რომ ადამიანის კლონირება უსაფრთხო მეთოდად ვერ იქნება მიჩნეული.

თუმცა კონფერენციის მონაწილე მეცნიერთა ნაწილი აცხადებდა, რომ ადამიანის გამრავლების შესახებ დაგროვილი ცოდნა მნიშვნელოვნად აღემატება ინფორმაციას ამ პროცესის შესახებ სხვა ძუძუმწოვრებში.

ამიტომ, მათი აზრით, ადამიანის კლონირებისას შესაძლო იქნება ცხვრებისა და მღრღნელების შემთხვევაში მიღებული არასასურველი შედეგების თავიდან აცილება. ადამიანის კლონირების მომხრეთა მთავარი არგუმენტი კი ეხება ადამიანის უფლებებს, რადგან „ნებისმიერი ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა გამრავლდეს იმ გზით, რომელსაც ის აირჩევს".

**დასკვნა**

დოლის კლონირება უდავოდ დიდ მეცნიერულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ ექსპერიმენტის ავტორებმა თავი გაართვეს უაღრესად რთულ ამოცანას როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისე მრავალსაფეხურიანი ცდის თითქმის უნაკლო შესრულების მხრივ.

ცხოველების (კერძოდ, ძუძუმწოვრების) კლონირების პრაქტიკული მნიშვნელობა ბიოტექნოლოგიისა და მედიცინისთვის ეჭვგარეშეა.

ამასთან, ადამიანის კლონირება, რაშიც იგულისხმება კონკრეტული პიროვნების ზუსტი გენეტიკური ასლის შექმნა ბირთვის ტრანსპლანტაციის საფუძველზე, მრავალ ეთიკურ და მეთოდოლოგიურ პრობლემას ქმნის და მათ გადაჭრას ალბათ კიდევ არაერთი წელი დასჭირდება.

# აშშ-ს საიდუმლო სამსახურის აგენტების სექსუალური სკანდალი




აშშ-ს საიდუმლო სამსახურის სამმა წევრმა კოლუმბიაში მომხდარი სკანდალის გამო ორგანიზაცია დატოვა.

ოფიციალური პირების განცხადებით, კოლუმბიის ქალაქ კარტახენას სასტუმროში ოცი ქალბატონი აღმოაჩინეს, სანამ პრეზიდენტი ობამა გასულ შაბათ-კვირას ამერიკის სამიტზე დასასწრებად გაემგზავრებოდა.

ბრალდებულების დაკითხვა სიცრუის დეტექტორების საშუალებით მიმდინარეობს.

როგორც ამბობენ, სამხედრო პირებმა და აგენტების ჯგუფმა სექსმუშაკებთან ღამე გაატარეს სასტუმროში, რომელშიც ამერიკის დელეგაცია იმყოფებოდა. საზღვაო ძალების სპიკერის განცხადებით, საქმესთან ორი საზღვაო სამხედროც არის დაკავშირებული.

თეთრმა სახლმა სპეცსამსახურის მეთაურს ნდობა გამოუცხადა, რომ ის ინციდენტს გამოიძიებს.

გენერალმა მარტინ დემპსიმ მომხდარს „უხერხული შემთხვევა" უწოდა.

სამხედროების ჯგუფი და სპეცსამსახურების წევრები კარტახენას ერთ-ერთ სტრიპტიზ კლუბში ერთობოდნენ.

„ვაშინგტონ პოსტის" ინფორმაციით, სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა, კლუბის მეპატრონეებს გარკვეული თანხა გადაუხადეს, რათა სასტუმრო „კარიბში" ქალბატონები წაეყვანათ. მომდევნო დილას ერთ-ერთმა ქალბატონმა დამატებითი თანხა მოითხოვა და სწორედ ამას მოყვა უთანხმოება.

ეიბისის ინფორმაციით, დამსწრე საზოგადოებას აგენტებმა სიამაყით განუცხადეს, რომ ისინი იქ აშშ-ს პრეზიდენტის დასაცავად იმყოფებოდნენ.

შედეგად, აშშ-ის საიდუმლო სამსახურის სამი აგენტი იმ თერთმეტი თანამშრომლიდან, რომელიც პრეზიდენტ ბარაკ ობამას კოლუმბიაში ვიზიტის დროს პროსტიტუციასთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა, ტოვებს ელიტური ძალების რიგებს.

საიდუმლო სამსახურის დირექტორის თანაშემწემ პოლ მორისიმ ვაშინგტონში განაცხადა, რომ ერთი თანამშრომელი პენსიაში გადის, ერთი თანამდებობიდან გადადგება, მესამეს კი ათავისუფლებენ სამსახურიდან.

სამი აგენტის ვინაობა არ დასახელებულა. დანარჩენი რვა თანამშრომლის საკითხს გამოძიება არკვევს. სკანდალმა აშშ-ის მედია მოიცვა. კონგრესი საკითხზე მოსმენის გამართვას გეგმავს.

*მოამზადა გურა მამულაშვილმა*

# TV პროგრამა

**პარასკევი 20 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00** მოამბე **12.45** სპორტული ტოკ-შოუ "არენა" **13.50** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"დეტექტივი"** **17.00** ავტოპილოტი **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"არც ასე არც ისე"** **21.30** გააგრძელე საქართველოს ისტორია **22.00** ევრო – **2012**. დღიური **22.30** მხ. ფილმი **"ბოლო მომენტში"** (ჯ. დეფი) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"ულისეს მზერა"** (**12**) **04.15** მხ. ფილმი **"მოლ ფლანდერსი"** (**15**) (მ. ფრიმანი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 14.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **17.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფილმი **"ჩემი სიკვდილის შემდეგ"** **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ზოგი რამ ჰენრის შესახებ"**

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.40** ნანუკას შოუ (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** ქარ. სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** **100** გრადუსი **00.50** თბილისი ლაივი **02.15** მხ. ფილმი **"კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება"** (**15**) (ე. ნორიეგა) **04.35** მხ. ფილმი **"მხოლოდ შენნაირი"** (ე. დჟად)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"ველური ყვავილი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.30** კომედი შოუს სკეტჩები **00.30** შუა დღე **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (ტიტ.)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ტაქსის მძღოლი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** მხ. ფილმი **23.00** **105** წუთი (პირდ.) **01.00** მზესუმზირა **03.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.00** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **13.00** სამედიცინო გად. "იმპულსი" **13.30, 19.35** სერ. **"მონტალბანო"** **15.15** სერ. **"სიამაყე"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** ლექსით დოკ. ფილმი "ხიდები სამშობლოსაკენ" **11.10** აქტუალური თემა **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **13.30** კონცერტი – თამარ ჭოხონელიძე **15.20** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.45** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **16.10** მხ. ფილმი **"მანანა"** **17.20** კონცერტი – ანს. "იალონი" **18.10** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე". **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მხ. ფილმი **"ქვევრი"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 aprili


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,639 | ევრო —2,1551 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6114 | რუსული რუბლი — 0,0549 |

**ამინდის პროგნოზი 20 აპრილისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21–25, ღამით — 10–14
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18–21, ღამით — 8–10
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 19–23, ღამით — 7–9





# 25 აპრილიდან

## გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად




## „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

### მესამე ტომი
### კანიბალიზმის ისტორია

გამოსულია:




**პირველი ტომი ტირანები**

**მეორე ტომი 100 გამოჩენილი მხედართმთავარი**




გამოსაცემად მზადდება:

- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები – იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# 18 აპრილიდან

**ეყზრფქკეჰბ გჰჯბფმნბ**

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის **„ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“**

23-ე ტომი

## ლ p f y ჟ f

3!)) ობუყინ4 იტცბც
ბვ ფღფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7
ჰჯვტკსფნ ღბღბ hღფჟბ
ღფნჯღტც ვცჯაჟბჯ
გჯაბნბhფიბ7 ვცნყბტჰტ,ფცფ
ღფ hეჟნეჰფიბ8




**უფპბსბ ლფ ოგუყბ ბჰსფლ * კფჰბ**


## .ღტაფვ უფბსღფჟბცობყტს=




**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ, არ გადაიღალოთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — არ აყვეთ პროვოკაციას, იმიჯი შეინარჩუნეთ. **კირჩხიბი** — ბევრს ითმენთ, ცოტაც და გაგიმართლებთ. **ლომი** — მალე გამოჯანსაღდებით, თქვენ გჯეროდათ ამისი. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ნუ მიეცემით სევდას, თავზე იმუშავეთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **მშვილდოსანი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **თხის რქა** — ფული გაქვთ, პრობლემები — არა. **მერწყული** — ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ღქტც=

## hჰჯცღჯჰღბ ფ

**შვეულად**: 1. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 2. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 3. შემწე, მფარველი ადამიანის ქართული სახელწოდება; 4. გოგრისგან დამზადებული, ქვევრიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი; 6. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ორჯერ იყო არჩეული აშშ-ის პრეზიდენტად; 9. ქართველთა სათვისტომო მამული პარიზის მახლობლად; 13. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 14. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 17. სპორტული ნავი; 18. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 20. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად**: 1. ძვირფასთვლებიანი ქალის გვირგვინი; 5. მდინარე რომში; 7. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 8. არქიტექტურულად გაფორმებული შენობის მთავარი შესასვლელი; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 11. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 12. უზენაესი სასამართლო თურქეთში; 16. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ნიმუში, მოდელი; 17. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 19. წყალქვეშა კლდე; 21. რაიმეს გონივრული საფუძველი; 22. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 23. კომბინაცია პრეფერანსში; 24. რეგიონი კახეთში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

